პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

შაბათი, 12 ოქტომბერი 1935 წ. № 238 (4394)

ადამიანი და ტექნიკა

თანამედროვე ტექნიკა ადამიანთა თაობების ფიზიკური და გონებრივი შრომის ისტორიული პროდუქტია. ექსპლოატატორული, გაბატონებული კლასები მას იყენებდნენ და იყენებენ საზოგადოების მშრომელი ნაწილის გასაყვლეფად. ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეას“ ბრწყინვალე ფურცლებზე აწერილია ანტიური საზოგადოების ტექნიკა— ძველი საბერძნეთის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების ბასრი იარაღი. მონათმფლობელური წყობილების ეპოქაში ადამიანს—მონას—უყურებდნენ, როგორც ჩვეულებრივ ხელსაწყოს. „კაპიტალში“ მარქსი შენიშნავს, ძველი გადმოცემით მონას უწოდებდნენ „მეტყველებით დაჯილდოებულ იარაღს“. ფეოდალიზმის ტექნიკა ფეოდალების ინტერესებს ემსახურებოდა, მათი ბატონობის მატერიალურ ბაზას შეადგენდა.

მაგრამ კაპიტალიზმის ეპოქაში, სადაც უკიდურესად მახვილდება კლასობრივი წინააღმდეგობა, დაპირისპირება ტექნიკასა და ადამიანს, კაპიტალსა და შრომას შორის გვევლინება ანტაგონისტური ფორმით. ტექნიკის შემდგომ განვითარებას ეღობება კაპიტალიზმის უმთავრესი შინაგანი წინააღმდეგობა: საზოგადოებრივ საწარმოო ურთიერთობათა და საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა ანტაგონისტური დაპირისპირება. აქ ადამიანი კი არ ბატონობს ტექნიკაზე, პირიქით, ტექნიკა ბატონობს ადამიანზე. „ყოველ საზოგადოებაში, სადაც წარმოების განვითარება სტიქიურად ხდება, მწარმოებლები კი არ ბატონობენ საწარმოო საშუალებებზე, არამედ საწარმოო საშუალებანი ბატონობენ მწარმოებლებზე“—ამბობს ენგელსი.

განსაკუთრებით საგრძნობია ეს კაპიტალიზმის დროს, საქონლისა და ფულის ფეტიშიზმის სამეფოში. წარმოების კაპიტალისტური წესის ბატონობის პირობებში მუშა, კაპიტალისტის შეხედულებით, წარმოადგენს „მეტყველ ინსტრუმენტს“, ის მანქანის დამატებაა, კაპიტალისტური მანქანის უბრალო ხრახნილი. კაპიტალიზმმა მუშა მექანიზმად აქცია, უსულო არსებად, რომელიც ავტომატურად მოქმედებს და მთელ თავის მოძრაობას მანქანას უმორჩილებს!

ავტომატებს წარმოადგენენ ფორდის საავტომობილო ქარხნების მუშები როგორც მანქანის რომელიმე ნაწილი. მუშაც ამ ქარხნებში მხოლოდ ერთ გარკვეულ, უშინაარსო მოძრაობას ასრულებს და მანქანას ბრმად ემორჩილება. აქ, მარქსის სიტყვით რომ ვთქვათ, „შრომის იარაღი ჰკლავს მუშას“, მკვდარი ბატონობს ცოცხალზე. შრომის კაპიტალისტური განაწილება, ტეილორიზმი, კონვეიერიზაცია, წარმოების კაპიტალისტური რაციონალიზაცია—აი პირობები, რომლებიც აქცევს დაქივებოთ ძალას მანქანის დამატებად.

ტექნიკა საომრად, მანქანები მილიონთა გასაჟლეტად, სისხლის ღვრის მოსაწყობად—აი ტექნიკა, რომელსაც კაპიტალიზმი განსაკუთრებით საჭიროებს და ავითარებს კიდეც.

სხვაგვარად შეუძლებელიცაა იმ საზოგადოებაში, სადაც მაღალი ნორმისთვის გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს, სადაც ყველაფერს, მათ შორის ადამიანის თვისებებსაც, უყურებენ როგორც საქონელს, სადაც სამუშაო ძალა თვითონ საქონელია, ყიდვა-გაყიდვის ობიექტი, მძაფრი კაპიტალისტური ექსპლოატაციის საგანი. კაპიტალიზმის პირობებში მკაცრად მჟღავნდება კაპიტალისტური მანქანისა და მუშის მტრული დაპირისპირება, რომელიც ემყარება ბრძოლას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს, კაპიტალსა და შრომას შორის.

ადრინდელი კაპიტალიზმის ეპოქაში მუშებს მხოლოდ მანქანები მიაჩნდათ კლასობრივ მტრად, მას სთვლიდენ სოციალური უკულმართობის ნამდვილ მიზეზად. ამ შემცდარი წარმოდგენის შედეგი იყო ცნობილი ლუდიტების მოძრაობა ინგლისში. როცა მუშები ამსხვრევდნენ მანქანებს. ეს იყო ეპოქა, როცა მუშათა კლასი არსებობდა როგორც „კლასი თავისთავად“ და მისი კლასობრივი შეგნება არ იყო მომწიფებული.

მანქანას კაპიტალიზმის დროს არ მოსდევს მუშის შრომის პირობების გაუმჯობესება. „თანამედროვე სოციალურ პირობებში—ამბობს ენგელსი—მანქანების გაუმჯობესება არაა ხელსაყრელი მუშებისათვის და ხშირად მას მათთვის უდიდესი ზიანიც კი მოაქვს. ყოველ ახალ მანქანასთან მოსდევს უმუშევრობა, გაჭირვება და სიღატაკე“.

მაგრამ არსებითად თვით მანქანა, როგორც ასეთი, აქ არაფერ შუაშია. ყველაფერი ეს მანქანის კაპიტალისტური გამოყენების შედეგია. მანქანა, როგორც კაპიტალი—აი, რაშია საქმე. ამაში დარწმუნდა მუშათა კლასი, როცა ის იქცა „კლასად თავისათვის“. ბრძოლაც გაჩაღდა არა მანქანის, არამედ წარმოების კაპიტალისტური წესის წინააღმდეგ, რომელიც მანქანას ხდის ადამიანის ექსპლოატაციის საშუალებად, იმის ნაცვლად, რომ მანქანა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და შემსუბუქების იარაღად აქციოს.

მაგრამ ასეთად მანქანა, ტექნიკა მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალიზმის პერიოდში გვევლინება. საბჭოთა კავშირში, სადაც მოისპო საწარმოო საშუალებებზე კერძო კაპიტალისტური საკუთრება, წარმოების საზოგადოებრივი ფორმისა და ინდივიდუალური მითვისების. შესაძლებლობა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მანქანა უკვე არ წარმოადგენს ზედმეღირებულების წარმოების საშუალებას: წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობასთან ერთად მოისპო თვით მანქანაც, როგორც კაპიტალი, საზოგადოებრივი ადამიანის გაყვლეფის იარაღი.

აქ, გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაში, მუშა თავს გრძნობს მანქანისა და, საერთოდ, მთელი ტექნიკური კულტურის ბატონ-პატრონად. აქ ნამდვილად ხორციელდება ენგელსის გენიალური სიტყვები. „როცა საზოგადოება, ყველა საწარმოო საშუალებას დაეუფლება, რათა იგი საზოგადოებრივი მიზნებისათვის გეგმაშეწონილად გამოიყენოს, იგი მოსპობს ადამიანთა წინანდელ დამონებას მათივე საკუთარი საწარმოო საშუალებების მიერ“.

ჩვენში ადამიანი ბატონობს მანქანაზე, და არა მანქანა ადამიანზე! საბჭოთა ადამიანი ტექნიკას იყენებს ბუნების დასამორჩილებლად, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასამაღლებლად, შრომის პროცესის გასაადვილებლად, სოციალისტური კულტურის ასაყვავებლად. აქ „შრომა მძიმე ტვირთიდან სიამოვნებად იქცევა“, იგი გმირობის, მამაცობის და ღირსების საქმედ გვევლინება.

ჩვენს მუშას, სოციალიზმისათვის მებრძოლ გმირ ადამიანს, მანქანა მიაჩნია მხოლოდ შრომის შემსუბუქების საშუალებად, სოციალიზმის მატერიალურ ბაზად, ქვეყნის ბუნებრივი ძალების დაპყრობის, სოციალისტური დოვლათის შექმნის მატერიალურ იარაღად. სწორედ ამიტომ მივეპყრობით ჩვენ მანქანებს, ტექნიკას საერთოდ, დედობრივი მზრუნველობით. ეს არ არის „ტექნიკის ფეტიშიზმი“, როგორც ჰგონიათ კაპიტალიზმის „სხივებით“ დაბრმავებულებს!

კიდევაც ახდენენ სასწაულებს საბჭოთა მანქანები, საბჭოთა ადამიანების ხელში. მშრომელთა მილიონები მართავენ ურთულეს მანქანებს—ბლუმინგებს, კომბაინებს და საბჭოთა ტექნიკური მეცნიერების სხვა მრავალ შედევრს. და ყოველთვის, დიდია თუ პატარა, რთულია თუ მარტივი ეს მანქანა, საბჭოთა ადამიანები გულდასმით უვლიან მათ, ზრუნავენ მათი სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის, მათი გამოყენების სასარგებლო კოეფიციენტის ზრდისათვის.

მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარია ადამიანი და არა მანქანა! მსოფლიოში არსებულ ყველა კაპიტალს შორის ყველაზე უძვირფასესი კაპიტალია თვით ადამიანი. ამხ. სტალინმა გენიალურად და მოკვეთილად გამოსთქვა ეს ბრძნული აზრი. პარტიაც დედობრივად ზრუნავს ადამიანისთვის, რომელიც უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას აშენებს. ამიტომ ახლა, როგორც გვასწავლის დიდი სტალინი, მთავარია სწორედ ადამიანები, რომლებიც დაეუფლენ ტექნიკას, ადამიანები, რომლებსაც, როგორც ენგელსი ამბობს, „ახასიათებს ყოველმხრივ განვითარებული უნარიანობა, რომელთაც შეუძლიათ ორიენტირება წარმოების მთელ სისტემაში“.

აი, ასეთი ადამიანები იჭედებიან და იზრდებიან დღეს ჩვენს დიად, სოციალიზმის სხივებით გამთბარ ქვეყანაში. ტექნიკისა და მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებით შეიარაღებულ ამ ადამიანთა ბოლშევიკურ იერიშს ვერ უძლებს სუსხიანი არქტიკა, იგი ქედს იხრის! ეს ადამიანები მიფრინენ სტრატოსფეროს სივრცეში, მიძვრებიან მიწის შორეულ წიაღში და ვულკანის ყელში. ისინი შლიან ატომს შემადგენელ ნაწილებად და გეგმაშეწონილად წარმართავენ სოციალიზმის უზარმაზარ საწარმოო ძალთა შეუზღუდველ, დაუსრულებელ განვითარებას.

„ტყიბული უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში“

ტყიბული, 9 ოქტომბერი. („კომუნისტის“ სპეც. ბრიგადისაგან). ტყიბულის მაღაროებში ფართოდ გაიშალა ბრძოლა მე-4 კვარტალის საგეგმო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

უკანასკნელ დღეებში, სექტემბერთან შედარებით, მაღაროელებმა მიაღწიეს საგრძნობ წარმატებას. ლენინის სახ. მაღაროში 9 ოქტ. ამოიღეს 459 ტონა ნახშირი, გეგმის—72,3 პროცენტი, სტალინისამ—319 ტონა, ანუ დღიური დავალების 61,5 პროცენტი. სულ 9 ოქტომბერს ამოღებულ იქნა 778 ტონა, გეგმის 67,4 პროცენტი.

ტყიბულელები მთელი ენერგიით იბრძვიან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის.

○

ტყიბული, 11 ოქტომბერი. დამკვრელ მაღაროელთა შეკრება აღნიშნავს, რომ გაზეთ „კომუნისტის“ გამსვლელმა რედაქციამ და მისმა სიგნალებმა მაღაროელთა კოლექტივში შრომის დიდი ენთუზიაზმი შექმნა მაღაროების გარღვევებიდან გამოყვანის ბრძოლის საქმეში.

დამკვრელ მაღაროელთა შეკრება სიტყვას აძლევს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ ორგანოს გაზეთ „კომუნისტს“, რომ სტახანოველთა მუშაობის მეთოდების ფართოდ დანერგვით მთლიანად შევასრულებთ მეოთხე კვარტალის დავალებას.

ორდენოსანმა საქართველომ ვადაზე ადრე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფისა და ჩაბარების წლიური გეგმა

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ს—ამხანაგ სტალინს,

ამხ. კაგანოვიჩს

სსრკ-ის სახკომსაბჭოს—ამხ. მოლოტოვს

ასლები „პრავდის“ და „იზვესტიას“ რედაქციებს

ახორციელებენ რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ **სტალინის** მითითებებს უცხოეთიდან ჩაის შემოზიდვისაგან საბჭოთა კავშირის განთავისუფლების შესახებ საქართველოს ჩაის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, ხანგრძლივი გვალვისა და პერიოდული აცივებისა, ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 9 ოქტომბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით — **ვადამდე შეასრულეს**. დამზადებულია 12.350 ტონა ფოთოლი, მაშინ როცა გეგმა უდრის 12.347 ტონას და 1934 წელს ფაქტიურად დამზადდა 6.642 ტონა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 29 ივნისის დადგენილება ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის ერთი-ორად გადიდების შესახებ; **შესრულებულია**.

მიმდინარე 1935 წელს ჩაის ფოთლის მოსავალი ჰექტარზე აღემატებოდა 1.400 კილოგრამს, ხოლო 1933 წელს უდრიდა 700 კილოგრამს.

ფოთლის კრეფა და დამზადება **გრძელდება**. 10 ოქტომბრისათვის „საქართველოს ჩაის“ ფაბრიკებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 2.121.200 კილოგრამი ბაიხის ჩაი — წლიური გეგმის 71,5 პროც. ანუ ოთხი თვის გეგმის 100,1 პროც., მათ შორის 1.858.900 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაი.

ხარისხოვანი ჩაის ჯეროვანი ჩაბარების დაწესებული გეგმა **გადაჭარბებით არის შესრულებული**. ფოთლის გადამუშავება და მზა პროდუქციის ჩაბარება გრძელდება.

საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სიტყვას აძლევენ საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ბელადს ამხანაგ სტალინს, რომ მთელ ძალღონეს მოანდომებენ ფართობის შემდგომ გადიდებას. მოსავლიანობის აწევას და ჩაის მხრივ საბჭოთა ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ მოცემულ მითითებათა მთლიანად შესრულებას.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს
კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ლ. ბერია

ერთა ლიგაში
პლენუმის პრეზიდიუმის სხდომა

ჟენევა, 10 ოქტომბერი. დღეს, ნასადილევს, შესდგა პლენუმის პრეზიდიუმის სხდომა. დაადგინეს: გენერალური დისკუსიის შემდეგ შესწყვიტონ პლენუმის სხდომა, მაგრამ დახურულად არ ჩასთვალონ იგი. ამას გარდა დაადგინეს წარუდგინონ პლენუმს რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„პლენუმი გაეცნო საბჭოს წევრთა აზრს, რომელიც გამოითქვა საბჭოს 1935 წ. 7 ოქტომბრის სხდომაზე, მიიღო მხედველობაში ლიგის წევრთა ვალდებულებები, გამომდინარე წესდების მე-16 მუხლიდან და იმ ზომების შეთანხმების სასურველობა, რომელსაც თვითეული მათგანი ცალკე მიიღებს, და იწვევს ლიგის წევრებს (დაინტერესებულ მხარეთა გარდა) დაარსონ კომიტეტი, რომელშიაც შევა თითო დელეგატი ლიგის წევრ ყოველ სახელმწიფოსგან ექსპერტებთან ერთად. ეს კომიტეტი განიხილავს და გაადვილებს ჯეროვანი ზომების შეთანხმების და საჭიროების დროს ლიგისა და პლენუმის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებებს, რომელიც მოითხოვს ლიგის, ან პლენუმის მიერ განხილვას“.

როდესაც პლენუმის სხდომა განახლდა ბენეშმა გამოაქვეყნა რეზოლუციის პროექტი, და განაცხადა, რომ კენჭისყრა სხდომის ბოლოს მოხდება. შემდეგ გაგრძელდა დისკუსია.

ჩილის დელეგატმა აღნიშნა, ჩემი მთავრობა მთელი ყურადღებით მოეპყრობა დასახულ ღონისძიებებსო.

ვენესუელის დელეგატი აღნიშნავს: ჩემი მთავრობა უფლებას იტოვებს საჭიროების დროს აცნობოს საკოორდინაციო კომიტეტს იმ სიძნელეთა შესახებ, რომელიც წამოიჭრება ზოგი ღონისძიების განხორციელებისას.

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმოსმა ბალკანეთის ანტანტის სახელმწიფოთა სახელით განაცხადა, რომ მთლიანად შეასრულებენ პაქტს.

ეკვადორისა, პერუს და ბოლივიის დელეგატებმა აღუთქვეს კრებას თავისი ქვეყნების ერთგულება ლიგისადმი.

ბოლოს გამოვიდა აბისინიის დელეგატი ჰავარიატე. მან გულისწყრომა გამოსთქვა ალოიზის „უხეში და უსამართლო გალაშქრების გამო აბისინიის წინააღმდეგ“ და მადლობა გადაუხადა ლიგის წევრებს მორალური დახმარებისთვის, რომელიც აღმოუჩინეს აბისინიას აგრესიის მსხვერპლს. ჰავარიატე ლაპარაკობს მომავალ სანქციებზე და შენიშნავს:

„ყოველგვარი დაყოვნება შეასუსტებს, ან სულ დაუკარგავს ეფექტს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შეჩერებულ იქნას საერთაშორისო ბოროტმოქმედების გაგრძელება, „რომლის ჩამდენად იტალიის მთავრობაა აღიარებული“. დასასრულ ჰავარიატემ განაცხადა: აბისინიის მთავრობა მზად არის დაუყოვნებლივ შეჰკრას ზავი, მხოლოდ საპატიო პირობებით. აბისინიას თავს მოახვიეს უსამართლო ომი. იგი ბოლომდე დაიცავს თავის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, რა ხანაც უნდა გაგრძელდეს ეს ომი. აბისინია არ მიიღებს ზავის ისეთ პირობებს. რომელიც აგრესორისთვის ჯილდო იქნება.

ამის შემდეგ თავმჯდომარე ბენეში კენჭს უყრის პრეზიდიუმის წინადადებას. ის განმარტავს, რომ პრეზიდიუმს, არსებითად, რეზოლუციის პროექტი კი არ შემოაქვს. არამედ ის მოუწოდებს ლიგის ყველა წევრებს გაგზავნონ თავისი დელეგატები საკოორდინაციო კომიტეტში. ალოიზი პრეზიდიუმის წინადადების წინააღმდეგ ილაშქრებს. თავმჯდომარე ბენეში განუმარტავს ალოიზის თუ რატომ არის უსაფუძვლო იურიდიული მოსაზრებანი მიუხედავად ამისა ბენეში უთმობს იტალიის დელეგატს და მზად არის პრეზიდიუმის პროექტში სიტყვა „იწვევს“ შესცვალოს შემდეგნაირად. „გამოსთქვამს სურვილს, რომ და სხ.“

ავსტრიისა და უნგრეთის დელეგატები აცხადებენ, რომ რეზოლუციის კენჭისყრის დროს თავს შეიკავებენ.

ბენეში კენჭს უყრის პროექტს. კენჭის ყრაში 54 დელეგატი მონაწილეობს: ორმა თავი შეიკავა, ერთმა წინააღმდეგ მისცა ხმა, დანარჩენებმა რეზოლუციას მისცეს ხმა. წინადადება მიღებულია ბენეშის შეტანილ შესწორებით. ამით სხდომა იხურება.

ხვალ, შუადღეზე პლენუმის კიდევ ერთი სხდომა იქნება. ამ სხდომის წინ გაიმართება საკოორდინაციო კომიტეტის პირველი დახურული სხდომა. (ადს).

□ □ □ □ □

რა პირობებში ხდებოდა იტალიელთა შეტევა ადუაზე

ბერლინი, 8 ოქტომბერი. „იუნაიტედ პრესის“ სპეციალური კორესპონდენტი მილერი, რომელიც ადუაზე შეტევისას გენერალ ბიროლის იტალიელთა არმიას ახლდა, სწერს:

„შავხალათიანთა და ფერადკანიანთა ნაწილების მრავალ მილზე გაჭიმული კოლონები საშინელ სიცხეში მიიწევდნენ აქლემებისა და ჯორების სასიარულო ვიწრო ბილიკით. მათ მისდევდნენ ათასობით მესანგრენი და მუშები, რომლებიც ბილიკს აფართოებდნენ, რომ შესაძლებელი გამხდარიყო სატვირთო ავტომობილების გავლა. დღეში გადიოდნენ ცხრა კილომეტრს. ტყვიამფრქვევებით და საომარი მასალით დატვირთული ჯორებიც კი ფორხილობენ ამ გზაზე. ვეებერთელა არმიის გამოსაკვებად იტალიელები იძულებული არიან თან იყოლიონ საქონლის ჯოგები. მდინარე ბელეზას გადასვლისას მე ვნახე, რომ რამდენიმე ასეულ მეტრზე ჩამწკრივებული მესანგრენი ერთმანეთს ხელიდან ხელში გადასცემდნენ ქვებს გადასასვლელის ასაგებად. მდინარის გაღმა ჩვენ მოვხვდით აზამის ვაკეზე, სადაც უამრავი აფთარი, ტურა და გველია“. (ადს).

აბისინელებმა დაიკავეს იტალიის პოზიციები ადუასთან

პარიზი, 11 ოქტომბერი. როგორც ადის-აბებიდან იუწყებიან, აბისინიის ჯარებმა რას სეი იუმის სარდლობით 9 ოქტომბერს ღამით იერიში მიიტანეს იტალიის პოზიციებზე ადუის მახლობლად. აბისინელებმა საგრძნობი ზარალი ნახეს, მაგრამ ეს პოზიციები მაინც დაიკავეს, მრავალი იტალიელი ტყვედ წამოიყვანეს და ხელთ იგდეს ზარბაზნები, თოფები და საომარი მასალა.

9 ოქტომბერს ბელორუსიის ვაგზლიდან ამხ. მიხეილ კოლცოვის მეთაურობით პრაგას გაემგზავრა საბჭოთა ჟურნალისტებისა და მწერლების დელეგაცია. ვაგზალზე დელეგაცია გააცილეს ჩეხოსლოვაკიის ელჩმა ბ. ბოგდან პავლუმ, საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის ბეჭდვითი საქმის ნაწილის გამგემ ამხ. ქ. ა. უმანსკიმ, საგარეო საქმეთა სახკომისარიატის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის წევრებმა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. **სურათზე**: საბჭოთა მწერლების დელეგაცია ბელორუსიის ვაგზალზე.

□ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □

საბჭოთა მწერლების დელეგაცია პრაგაში

პრაგა, 10 ოქტომბერი. გუშინ საბჭოთა დელეგაცია „ნაროდნი დივადლოში“ („ნაციონალური თეატრი“) დაესწრო კომპოზიტორ სმეტანის ოპერა „გაყიდული საცოლის“ წარმოდგენას. როდესაც დელეგაცია თეატრიდან გამოდიოდა, მის ავტომობილს გარშემორტყა დიდძალი ხალხი და დელეგატებს ოვაცია გაუმართა.

წარმოდგენის შემდეგ პრაგის ბურგომისტრმა ბაქსამ გამართა დარბაზობა, რომელსაც 500 კაცი დაესწრო. მუნიციპალიტეტის წევრებს გარდა, დარბაზობაზე იყვნენ პრაგის პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო წრეების წარმომადგენლები. წარმოდგენილი იყო ჩეხოსლოვაკიის თითქმის მთელი პრესა. საბჭოთა დელეგაციას, რომელიც დარბაზობაზე თავისი თავმჯდომარის კოლცოვის და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ალექსანდროვსკის მეთაურობით მივიდა, ბუკის ძახილით შეეგებნენ. დელეგაციას განსაკუთრებით გულთბილი შეხვედრა გაუმართეს. გაცხოველებულმა ბაასმა ნაშუაღამევამდე გასტანა. (ადს)

ნედლეული შაქრის ქარხანას!

საქართველოს კვების მრეწველობის პირმშომ — ამხ. ლ. ბერიას სახელობის აგარის შაქრის ქარხანამ, წელს ქართლის რაიონის პლანტაციებიდან უნდა მიიღოს და გადაამუშაოს 483 ათას ცენტნერზე მეტი ჭარხალი.

სამრეწველო მეჭარხლეობამ ჩვენში სავსებით გაამართლა იმედები. ახლა ცდებით და ფაქტებით უკვე დამტკიცებულია, რომ ჩვენებური ჭარხლის შაქრიანობა აღწევს 20-22 პროცენტს, მაშინ როდესაც უკრაინისა და ჩრდილო-კავკასიის ჭარხლის საშუალო შაქრიანობა 17—18 პროცენტს არ აღემატება.

ჭარხლის მოსავლიანობაც სისტემატურად მატულობს. ასე, მაგალითად, თუ 1933 წელს ჭარხლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე ძლივს აღწევდა 35 ცენტნერს, გასული წლისათვის ეს მოსავლიანობა გადიდებულ იქნა დაახლოებით ერთი-სამად. მიმდინარე წელსაც, მიუხედავად ხანგრძლივი გვალვებისა, ჭარხლის მოსავალი შარშანდელზე ცუდი არ იქნება. გორის და ხაშურის რაიონების მოწინავე კოლმეურნეობებმა ზოგან უკვე აიღეს ჰექტარზე 150-160 ცენტნერამდე მოსავალი.

ყოველივე ეს ფაქტია, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ ჭარხლის კულტურას ჯერ კიდევ ბევრგან ისეთ ყურადღებას არ აქცევენ, როგორისაც ის არის. განსაკუთრებით ეს ითქმის ჭარხლის ამოთხრის, დამზადების და გადაზიდვის მოწყობაზე.

ჭარხალი მეტად სათუთი კულტურაა. განსაკუთრებული სიფრთხილე, მონდომება და ორგანიზებულობაა საჭირო ჭარხლის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. ცალკეულ სოფლებში კი ჭარხლის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის აშკარა შეუფასებლობას ვხვდებით. არის ფაქტები, როდესაც თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების შემდეგ პირუტყვს თავისუფლად უშვებენ ნაყანევში. ნაპურალის გვერდით კი საქონელი ჭარხლის პლანტაციებს აჩანაგებს, ჭარხლის ძირის პოვნას აძნელებს და დანაკარგებს ადიდებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჭარხლის რაიონებში მთელი მუშახელი არ არის გამოყენებული ჭარხლის აღებაზე. ასეა, მაგალითად, ხაშურის რაიონის სოფ. ქვენატკოცაში, მოხისსა და ხურვალეთში. ასეა გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევში. ასეა კასპის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

მეტად ცუდად არის მოწყობილი აღებული ჭარხლის გასუფთავება და გადაზიდვა. თუნდაც ის ფაქტი, რომ ხაშურის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობანი დღემდე არ არიან მომარაგებული ჭარხლის გასასუფთავებელი დანებით, მოწმობს მანქანა-ტრაქტორთა სადგურისა და მიწგანის ყოვლად უმზგავსო დამოკიდებულებას საქმისადმი.

ჭარხლის დროული გადაზიდვა გასული წლის მსგავსად კვლავ ვიწრო ადგილს წარმოადგენს. მეტადრე ეს ითქმის გორის და კასპის რაიონებზე, სადაც ამჟამად ჭარხლის აღებასთან ერთად გაჩაღებულია ხილისა და ბოსტნეულის დამზადება-გადაზიდვა.

ყველა ფაქტი მოწმობს, რომ ქართლის რაიონების მთელი რიგი სოფლები და კოლმეურნეობანი წელს სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდნენ ჭარხლის მოსავლის აღებას.

უკვე დადგა ჭარხლის აღება-გადაზიდვის გახურებული სეზონი, საჭიროა მოსავლის აღებაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ, მუშაობის პროცესშივე გამოსწორება და გადამჭრელი ზომების მიღება, რომ უზრუნველყოფილ იქნას ქარხნისათვის მთელი მოსავლის დაწესებულ ვადებში ჩაბარება.

ბრიგადებსა და ჯგუფებში შრომის მოწესრიგება, მთელი შრომის უნარიანი მუშახელის მინდვრად გამოყვანა, ავტოტრანსპორტისა და ჭაპანზიდვის ადგილობრივ საშუალებების მთლიანად გამოყენება და ჭარხლის ფასების გადიდების შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების ფართო პოპულარიზაცია მასებში—აი რა არის საჭირო იმისათვის, რომ სასწრაფოდ გამოსწორდეს ჩამორჩენა ჭარხლის აღება-დამზადებაში და უზრუნველყოფილ იქნას შაქრის ქარხნის შეუფერხებელი მომარაგება ნედლეულით.

დაიხურა აჭარისტანის ახალგაზრდა ქალთა ყრილობა

ბათომი, 11 ოქტომბერი. გუშინ ღამით დაიხურა აჭარისტანის ახალგაზრდა ქალთა პირველი ყრილობა. ყრილობამ მოისმინა აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარის ამხ. ზექერია ლორთქიფანიძისა და საქართველოს ალკკ აჭარისტანის ოლქკომის მდივნის ამხ. გოგუაძის მოხსენებანი ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მოხსენებათა გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. გამოვიდნენ კოლმეურნე დელეგატი ქალები. მუშა-ქალები, მასწავლებლები, სოფლის და რაიონის ორგანიზაციათა მუშაკები: ამხ. ჯიჯავაძე, ბოლქვაძე, დუმბაძე, ბდარიელ-ოღლი, წულუკიძე, თურმანიძე, გოგიტიძე, შოვაძე, ვახვათ კომახიძე, ფაღავა, ხალვაში, ბოზ-ოღლი, ჯაფარიძე, ბეჟიბა, ტან-ოღლი და სხვები. მათ ყველამ ილაპარაკეს იმ უდიდეს მუშაობაზე, რომელიც პარტიამ გასწია აჭარელი ქალის განთავისუფლებისა და კულტურული განვითარებისათვის.

გამოსულმა ამხანაგებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სოფლად კულტურულ საყოფაცხოვრებო, მშენებლობის შემდგომი გაძლიერების საკითხებს.

ორგანიზაციები და, უწინარეს ყოვლისა, კომკავშირი მთელ ძალღონეს მოიკრებენ. რათა კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ მასობრივი პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა აჭარელ ქალთა შორის.

ყრილობას მიესალმნენ სომხითისა და აფხაზეთის მშრომელ ქალთა დელეგაციები.

მქუხარე ტაშით და შრომის მხიარული სიმღერებით აჭარისტანის ახალგაზრდა ქალთა პირველი ყრილობა დაიხურა (ადს).

□ □ □

მონარქიული გადატრიალება საბერძნეთში

ვენა, 11 ოქტომბერი. ათენიდან მიღებული ცნობებით, 10 ოქტომბერს, ნაციონალური კრების მოწვევის დღისათვის, მონარქისტმა ოფიცრებმა და გენერლებმა საბრძოლველად გაამზადეს ჯარები და დაიკავეს საზოგადოებრივი შენობები იმ საბაბით, რომ კომუნისტებისა და ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური პარტიების გამოსვლა არის მოსალოდნელი. ცალდარისის მთავრობას სრულებით წაერთვა მოქმედების უნარი, გენერლების ჯგუფი გამოცხადდა პრემიერ ცალდარისთან და მოსთხოვა მთავრობას დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა საბერძნეთში მონარქია.

ცალდარისმა მოიწვია კაბინეტის სხდომა, რომელზედაც მთავრობის წევრებმა პროტესტი განაცხადეს სამხედრო გადატრიალების წინააღმდეგ და მთავრობა გადადგა. სამხედრო მინისტრმა გენერალმა კონდილისმა თავი პრემიერად გამოაცხადა და დანიშნა კაბინეტის ახალი შემადგენლობა გენერლებისა და მონარქიის მომხრეებისაგან. ამრიგად გამოცხადდა სამხედრო-მონარქიული დიქტატურა.

კონდილისის ბრძანებით ჯარებმა მონარქისტი ოფიცრების მეთაურობით დაიკავეს მთავრობის და საზოგადოებრივი შენობები, ცენტრალური ტელეგრაფი და სხვ.

ჯარებით გარშემორტყმულ შენობაში საღამოს არასრული შემადგენლობით შეიკრიბა პარლამენტი. ცალდარისმა განაცხადა, მე და სახალხო პარტიის (რომელსაც იგი ხელმძღვანელობს) დეპუტატები, გადატრიალების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, პარლამენტს ვტოვებთ. კონდილისის წინადადებით სხდომაზე დარჩენილმა მონარქისტმა დეპუტატებმა დაამტკიცეს მთავრობის მიერ მიღებული კანონები: 1) რესპუბლიკური რეჟიმის გაუქმების, 2) მონარქიული კონსტიტუციის ძალაში შესვლის, 3) 3 ნოემბრისათვის პლებისციტის დანიშვნის და 4), ინგლისში მყოფ ყოფილ მეფე გიორგის დაბრუნებამდე, რეგენტად კონდილისის დანიშვნის შესახებ.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ზაიმისი გადადგა. გიორგის გაეგზავნა დეპეშა. რომელშიაც სთხოვენ დაუყოვნებლივ ჩამოვიდეს ათენში თვითმფრინავით.

მთელ საბერძნეთში დიდი მღელვარებაა. კომპარტია და ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური პარტიები რაზმავენ მასებს სამხედრო-მონარქიული გადატრიალებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად (ადს).

□ □ □

ამხ. მ. მ. ლიტვინოვის გამგზავრება

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი ჟენევას გაემგზავრა. (ადს).

ავტოსატრაქტორო მრეწველობის სტახანოველთა საკავშირო შეკრება

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. მოლოტოვის სახელობის ავტო-ქარხნის თეატრში გაიხსნა ავტო-სატრაქტორო მრეწველობის სტახანოველთა საკავშირო შეკრება. შეკრებაში მონაწილეობს 1000-ზე მეტი საუკეთესო დამკვრელი, მათ შორის სტალინის სახელობის მოსკოვის ავტო-ქარხნის იაროსლავის ავტოქარხნის, ხარკოვის, ჩელაბინსკისა და სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნების დელეგატები. მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის დელეგაციას მეთაურობს მანქანათ-მშენებლობაში სტახანოვის მეთოდის გადატანის ინიციატორი ამხ. ბუსიგინი, რომელმაც შეკრების გახსნის წინადღით მუხლა ლილვების გამოჭედვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის მისალმება

ავტოსატრაქტორო მრეწველობის სტახანოველთა შეკრებას

სანგრევი ურის ოსტატმა ამხ. სტახანოვმა და მოლოტოვის სახელობის გორის ავტოქარხნის მჭედელმა ამხ. ბუსიგინმა, გამოეხმაურნენ რა ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მოწოდებას ტექნიკის დაუფლების შესახებ, გვიჩვენეს, ნამდვილად თუ როგორ უნდა დავეუფლოთ მას და რა უდიდესი შესაძლებლობანი მოეპოვება ჩვენს მრეწველობას, —

ამხანაგმა სტახანოვმა და ბუსიგინმა გვიჩვენეს, თუ რა ფასი აქვს შრომის განყოფილებებსა და ტექნიკურ - სანორმო ბიუროებში მოკალათებული ჩვენი ბიუროკრატების ეგრეთწოდებულ „ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს. სტახანოვმა და ბუსიგინმა გვიჩვენეს, რომ ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ერთიორად, ერთისამად, ერთიოთხად მეტი პროდუქცია მივიღოთ, თუ ჩვენს მანქანებს, ჩვენს ტექნიკას მოხერხებულად გამოვიყენებთ, ეს დაამტკიცეს სტახანოვმა, ბუსიგინმა, ასობით და ათასობით მათმა მიმდევრებმა ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა დარგში, ეს უდაოდ ასეა.

ახლა ამოცანა ისაა, რომ ამ მოძრაობას მასობრივი ხასიათი მივსცეთ. ფართო სტახანოვურ - ბუსიგინური მოძრაობის მოწყობა მძიმე მრეწველობის ყველა დარგში — ამ მრეწველობის მეთაურების ამოცანაა.

მაგრამ აქ თვალი არ უნდა მოვუხუჭოთ შემდეგ გარემოებას: ერთნი ამ მოძრაობას, რომელიც ქვემოდან მომდინარეობს, ბიუროკრატიულად ქედმაღლურად ეკიდებიან: „ვინ ობერია სტახანოვი, ბუსიგინი, რა ესმით მათ“.

ესენი ბიუროკრატები, სტახანოვური მოძრაობის გამოუსწორებელი მტრები არიან. ასეთები უნდა ალვგავოთ სტახანოვ-ბუსიგინის გმირული გზიდან. მეორენი, გაოცებულნი სტახანოვის მეთოდის ელემენტარული სიმარტივით, მეთოდისა, რომელიც მდგომარეობს შრომის სწორ განაწილებაში, თავისი მანქანების სრულ გამოყენებაში, —ჯერ კიდევ უკვირდებიან და ამ დიდი საქმის ორგანიზაციას ხელს არ ჰკიდებენ. მესამეებს ეშინიათ, რომ სტახანოვის საქმე პროდუქციის გამოშვების გეგმის გადიდებას გამოიწვევს, ხომ გაუდიდებს დონბასს ქვანახშირის ამოღების გეგმაო, — ამბობენ ეს ბიუროკრატები. რა თქმა უნდა, გეგმა ჩვენ გავადიდეთ და მართებულადაც მოვიქეცით.

სტახანოვური მოძრაობის კარგ ორგანიზაციას დონბასში შეუძლია დონბასი გამოიყვანოს პირველ ადგილზე მთელ მძიმე მრეწველობაში და შესაძლებლობას უქმნის მას ოთხ წელს შეასრულოს მეორე ხუთწლედის გეგმა, უდიდეს სიმაღლეზე აიყვანოს შრომის ნაყოფიერება და მუშის ხელფასი.

მას შემდეგ, რაც სტახანოვმა და ბუსიგინმა გვიჩვენეს გზა, თუ როგორ შეიძლება ტექნიკას მაქსიმუმი გამოვსწუროთ, —საქმე მთლად მრეწველობის მეთაურებზეა დამოკიდებული.

ოსტატებმა, ტექნიკოსებმა, ინჟინრებმა, დირექტორებმა, მთავარი სამმართველოებისა და ტრესტების უფროსებმა და ყველა სამეურნეო მუშაკმა, ყველა პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად ბოლშევიკურად, სტალინურად უნდა მოჰკიდონ ხელი სტახანოვურ-ბუსიგინური მოძრაობის ორგანიზაციის საქმეს ყველა ქარხანასა, შახტსა და სამადნოში, ნავთის სარეწაოებსა და ელექტროსადგურებში —მძიმე მრეწველობის ყველა საწარმოში.

ისე როგორც მაკეევკას მეთოდმა შავ მეტალურგიას უდიდესი გამარჯვებები არგუნა, სტახანოვ-ბუსიგინის მეთოდი კიდევ უფრო გრანდიოზულ გამარჯვებებს მოგვაპოვებინებს მძიმე მრეწველობის ყველა დარგში, და არა მარტო მძიმე მრეწველობაში, არამედ მთელს სახალხო მეურნეობაშიაც.

სტახანოვ - ბუსიგინის მეთოდს ჩვენ უშუალოდ მივყევართ დიდი ლენინის ლოზუნგის განხორციელებამდე — დავეწიოთ და გავუსწროთ ტექნიკურ-ეკონომიურ მხრივ ევროპისა და ამერიკის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს

სტახანოვურ - ბუსიგინური მოძრაობის ორგანიზაციაში უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს. მათი მხრივ აქტიური დახმარების გაუწევლად სტახანოვური მოძრაობა ვერ გაიმარჯვებს, მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ჩვენი პარტიის დონბასის ოლქკომმა სტახანოვური მოძრაობის ორგანიზაციისათვის შესანიშნავი და ენერგიული მუშაობა გასწია და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სტახანოვური მოძრაობის მტრებს, — იგი საკავშირო მოძრაობად ხდება.

მივესალმები რა ავტო-სატრაქტორო მრეწველობის სტახანოვურ-ბუსიგინური მოძრაობის შეკრებას, ღრმა რწმენას გამოვსთქვამ, რომ მუშები, ოსტატები, ტექნიკოსები, ინჟინრები, დირექტორები, ტრესტების მმართველნი, მთავარსამმართველოთა უფროსნი — ყველა სამეურნეო მუშაკი, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები მძიმე მრეწველობის ყველა დარგში, დიდი სტალინის მოწოდების შესრულებით, თავის საწარმოებში მუშაობის სტახანოვ-ბუსიგინის მეთოდების ორგანიზებულად დანერგვით, გვიჩვენებენ წარმოების მაღალხარისხოვანი ორგანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების ახალი ნიმუშებს.

ჩვენს წინაშე, ამხანაგებო, უშუალოდ დადგა ამოცანა: როგორ მოვიქცეთ, რომ პრაქტიკულად არა მარტო დავეწიოთ, არამედ გავუსწროთ კიდეც ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებს და ლენინურ-სტალინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გაბედულად გავემართოთ ჩვენი სოციალისტური გზით, ლენინ-სტალინის გზით.

წინ! უფროდაუფრო მეტად დავუმორჩილოთ ბუნების ძალები ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა ინტერესების სამსახურს.

ს. ორჯონიკიძე.

აჭარისტანის ქალთა ტექნიკუმის მოწაფეები მეცადინეობის დროს.

მტს რენტაბელობისათვის

აგარის მტს—ის პირველი ნაბიჯები

მიმდინარე წლის დასაწყისშივე მაკეევის ამხ. კიროვის სახელობის ქარხანამ, პირველმა მთელ საბჭოთა კავშირში, სამეურნეო ანგარიშიანობის დანერგვის, პროგრესიული სანარდო სისტემის შემოღებისა და თვითღირებულების შემცირების შედეგად, უარი განაცხადა დოტაციაზე და მთლიანად გადავიდა მომგებიან მუშაობაზე.

შავმეტალურგიაში დაწყებული ეს შესანიშნავი მოძრაობა მთელ რიგ მოწინავე წარმოებებს მოედო. მათ განაცხადეს უარი დოტაციაზე და მუშაობენ მოგებით.

ამ შესანიშნავ ინიციატივას გამოეხმაურნენ უზბეკისტანის ბამბის მტს-ები, რომლებმაც დოტაციაზე უარი განაცხადეს.

მტს-ების რენტაბელობისათვის ბრძოლა საქართველოშიც ჩაღდება. აგარის სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა ამ მიმართულებით უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები.

აგარის მტს-ი მიმდინარე წელს თვალსაჩინო ეკონომიას იძლევა.

ცხრა თვის მუშაობა უკვე გვიჩვენებს, **რომ აგარის მტსს წლის დამლევისათვის ექნება 120 ათასამდე მანეთის ეკონომია.**

როგორ აღწევენ მტს-ში ამ ეკონომიას?

სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულება პირველი წყაროა მომგებიანი მუშაობისათვის. საგაზაფხულო ხვნა 270 ჰექტარის ნაცვლად ჩატარებულია 550 ჰექტარზე. შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა მათ 104,4 პროცენტით შეასრულეს; მძრალად მოხნეს 301 ჰექტარი, ნაცვლად 250 ჰექტარისა. სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის გადაჭარბებით შესრულებით მტს-ი მიიღებს მეტ ნატურანაზღაურებას. ამით, ცხადია, დიდდება ფულადი შემოსავალი. 16.300 ცენტნერ შაქრის ჭარხლის ნატურანაზღაურების ნაცვლად ნავარაუდევია 13 ათასი ცენტნერის მიღება. ამრიგად, **გეგმის გადამეტებით შესრულების გზით მტს-ი მიიღებს 10.800 მანეთს.**

მეორე ფაქტორია — სატრაქტორო სამუშაოთა **თვითღირებულების შემცირება.** გეგმით ერთი ჰექტარი ანეულის მოხვნა უნდა დამჯდარიყო 57 მან. 63 კაპ. ერთი ჰექტარი ჭარხლის თესვის საგეგმო ღირებულება განისაზღვრება 13 მან. 43 კაპ. - რაოდენობით. ფაქტიურად ეს სამუშაოები დაჯდა გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით ნაკლები.

ექვსი თვის განმავლობაში მტს-მა მომჭირნეობით მიიღო სამი ტონა და 2100 კილოგრამი საწვავი მასალის ეკონომია, რაც 2000 მანეთს უდრის. ამ წლის მეორე ნახევარში „საწვავის ეკონომია“ კიდევ უფრო გაიზრდება.

საწვავის ეკონომიას იმით აღწევენ, რომ მათ დააწესეს მისი ხარჯვის დიფერენცირებული ნორმა ნიადაგის თვისების მიხედვით. აქ ვხვდებით მძიმეს, საშუალოს, მსუბუქს და ბიც ნიადაგებს. ამასთან შეფარდებით მტს-ის დირექციამ დააწესა საწვავის ხარჯვის ოთხი ნორმა. გარდა ამისა, ახალი და ძველი ტრაქტორისათვის სხვადასხვა ნორმა არის შემოღებული.

საწვავის ეკონომიამ ხელი შეუწყო სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებას.

სამუშაოთა ღირებულების შემცირებისათვის აქ იბრძვიან არა მარტო მინდვრად, არამედ სარემონტო სახელოსნოშიც. მთელი წლის განმავლობაში ტრაქტორების საშუალო და მიმდინარე რემონტზე უნდა დახარჯულიყო 93.200 მანეთი. ფაქტიურად ათი თვის განმავლობაში დახარჯულია 48 ათასი მანეთი. გამოანგარიშებულია, რომ წლის ბოლომდე საშუალო და მიმდინარე რემონტისათვის საკმარისია 24 ათასი მან. ამრიგად ეკონომია აღწევს 21.200 მანეთს.

პროფილაქტიური რემონტის შემოღებამ მინდვრად ხელი შეუწყო მანქანების დაზიანების შემცირებას

რემონტის გაიაფება იმის შედეგია, რომ, ჯერ ერთი, რემონტს ატარებენ სადეფექტო უწყების საფუძველზე. ამცირებენ სამუშაო საათებს. (თუ, მაგალითად, ერთი მანქანის საშუალო რემონტისათვის ნორმით გათვალისწინებულია 140 კაცსაათი, აქ იხარჯება 115—120 სამუშაო საათი) და აგრეთვე იყენებენ უმნიშვნელოდ დაზიანებულ სათადარიგო ნაწილებსაც.

შაქრის ჭარხლის ამოღების მექანიზაციამ ხელი შეუწყო მომჭირნეობის რეჟიმის უფრო მკაცრად გატარებას. აქედან მიღებულია 15 ათასი მანეთის ეკონომია.

6 თვის განმავლობაში ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯები შემცირებულია 25.954 მანეთით. ამ წლის მეორე ნახევარში „სხვა ხარჯები“ შემცირდება 10 ათასი მანეთით.

ეკონომია იქმნება კაპეიკებისაგან, მტკიცე ფინანსიური რეჟიმის შემოღების გზით.

ეს არის დირექციის (დირექტორი ამხ. გერ. ლომთათიძე) პარტიული ორგანიზაციის (პარტკომის მდივანი ამხ. ნ. ჯავახიძე) და მტს-ის მთელი კოლექტივის დაძაბული მუშაობის შედეგი.

ამგვარად აგარის მტს-მა გადადგა პირველი ნაბიჯები დოტაციის მიღების შემცირებისათვის. ამის მაგალითი უკვე გვაქვს. წელს მათ მიიღეს 46.296 მანეთით ნაკლები დოტაცია, ვიდრე შარშან. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აგარის მტს-ს ჯერ კიდევ არ აქვს ყველა შესაძლებლობა გამოყენებული უდოტაციო მუშაობისათვის.

მტს-ს ყავს ტრაქტორისტთა შერჩეული კადრი. აქ არიან ტრაქტორისტთა ისეთი ბრიგადირები (შალვა ტიტვინიძე, იასონ ბურჯანიძე), რომელთა წელს არცერთი ავარია არ ქონიათ, არც ერთი საკისური არ გადაუწვავთ. დირექციას ჯერ კიდევ არ შემოუღია დაჯილდოება-წახალისება უავარიო მუშაობისა და საწვავი ეკონომიისათვის.

მტს-ის რენტაბელობისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო ადგილი უკავია აღრიცხვას. საჭიროა ბუხჰალტერიის დროული სიგნალი მოსალოდნელი გადახარჯვაზე. ამის შესახებ დაზუსტებული ცნობები არ მოეპოვება აგარის მტს-ის მთავარ ბუხჰალტერს ამხ. ვ. უბულავას. ტრაქტორისტის გამომუშავება, ტრაქტორის გაცდენა, მოხნული ფართობის კალკულიაცია ჰექტარეში — ყველაფერი ეს ბუხჰალტერს უნდა ჰქონდეს ფულადი ღირებულებაში გამოხატული. დირექტორი კი კარგად უნდა იცნობდეს მტს-ის ბალანსს მიღწევებისა და ნაკლის ხაზზე გასაგებად.

მტს დირექცია პირობას იძლევა, რომ სამუშაოთა თვითღირებულების კიდევ უფრო შემცირებით. იგი მთელ კოლექტივთან ერთად იბრძოლებს, რათა უახლოეს მომავალში სავსებით უარი სთქვას დოტაციაზე.

ვ. მთვრალაშვილი.
თ. კუნჭულია.

ხელი შორს აბისინიის ხალხისგან!

ტფილისის პროლეტარების გამოხმაურება კომინტერნის მოწოდებაზე

გუშინ დილის შესვენებაზე ტფილისის ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშებმა მოაწყეს კომინტერნის აღმასკომის მოწოდების კოლექტიური წაკითხვა. ერთსულოვნად და მხურვალედ გამოეხმაურნენ ტფილისის პროლეტარები ამ მოწოდებას. ნაშუადღევს სამუშაოს დამთავრებისას მრავალ ფაბრიკა-ქარხანაში მუშათა სახელდახელო მიტინგები გაიმართა.

კალინინის სახელობის ქარხნის პროლეტარები უკლებლივ მოვიდნენ სახელდახელო მიტინგზე, რომელიც ქარხნის ეზოში გაიმართა.

მიტინგზე გამოცხადებამდე საამქროებში მუშებს მსჯელობა ჰქონდათ: როგორ გამოვეხმაუროთ კომინტერნის მოწოდებას, რა უნდა გავაკეთოთ მშვიდობიანობის დასაცავადო.

— ვიკისროთ ახალი საწარმოო ამოცანების შესრულება, გავაძლიეროთ წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოება თავდაცვა-ავიაქიმი — ეს იქნება ჩვენი საუკეთესო პასუხი ახალი იმპერიალისტური ომების გამჩაღებელთა წინააღმდეგო, სთქვეს მუშებმა.

სახელდახელო მიტინგი დაიწყო. მუშები კიდევ უფრო დაწვრილებით გაეცნენ კომინტერნის აღმასკომის მოწოდებას. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ საამქროების ფრიადოსანთა წარმომადგენლები.

ფრიადოსანმა მუშამ ამხ. **გალუსტიანმა** განაცხადა, რომ მისი საამქროს (ლითონის ბადეების საამქრო) მუშები კისრულობენ, კომინტერნის მოწოდების საპასუხოდ ვადაზე ადრე შეასრულონ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის საწარმოო გეგმა.

ელექტრო-სამონტაჟო საამქროს მუშების წარმომადგენელმა ფრიადოსანმა **ამხ. გოლუბევმა** განაცხადა, საამქროს მუშებმა გადაწყვიტეს ვადაზე ადრე (25 დეკემბრისათვის) შეასრულონ საწარმოო დავალება და გარდა ამისა გამოუკლებლივ შევიდნენ წითელი ჯვრის საზოგადოების წევრებადო. ასეთივე განცხადებებით გამოვიდნენ დანარჩენ საამქროთა მუშები — ამხ. **ტამილინი, აკულიანი, ჩიჟოვი** და სხვები. ისინი აღნიშნავდნენ ომის ფაშისტ გამჩაღებლების იმ სიმხეცეს, რომელსაც ისინი იჩენენ უიარაღო აბისინელთა წინააღმდეგ.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: — კალინინის სახელობის ქარხნის მუშათა კოლექტივი სიტყვას იძლევა, რომ კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმება ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, თავისი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. ჩვენ ვიბრძვით მშვიდობიანობისათვის, ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ომებისა, რომელსაც აჩაღებენ ფაშისტები, სისხლიანი ხელებით. საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულებისათვის შეუსვენებელი ბრძოლით, ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას.

ხელი შორს, აბისინიის ხალხისაგან!

ძირს ომი!

ამხ. სტალინის სახ. ორთქლმავალთა შემკეთებელ ქარხანაში მუშაობის დამთავრების საყვირი მისცეს... ყველა მუშა თავის საამქროს შესაკრებ ადგილისაკენ გაეშურა, იმართებოდა სახელდახელო მიტინგები.

აი სახარატო საამქროში თავი მოუყრია საამქროს ყველა მუშას, იხილავენ კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის 7 ოქტომბრის მიმართვას ყველა მშრომელისადმი, ომის ფაშისტური გამჩაღებლების წინააღმდეგ.

მიტინგზე ილაპარაკეს ამხ. ვასილიევმა, ჯავახაძემ, გაგლოევმა და ბასტიევმა.

— იტალიელთა თვითმფრინავები — ნათქვამია მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში, ყუმბარებს უშენენ აბისინიის მშვიდობიან მოსახლეობას საერთაშორისო მუშათა კლასის აღშფოთებას, გამოწვეულს ომის ფაშისტ გამჩაღებელთა ამ სიმხეცით, ვუერთებთ ჩვენს ხმას და სიტყვას ვიძლევით, გაორკეცებული ენერგიით ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ პროლეტარიატის პირველი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარიანობის შემდგომი გამტკიცებისათვის

ასევე წარმატებით ჩატარა გუშინ სახელდახელო მიტინგებმა ამწყობ, საქვაბე, სამჭედლო, საიარაღო და სხვ. საამქროებში.

ზიზღი ყაჩაღებს!

26 კომუნარის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მუშებმა გუშინ 11 საათზე წაიკითხეს ჩვენს გაზეთებში კომინტერნის მოწოდება ხალხთა მიმართ—აბისინიის წინააღმდეგ იტალიის იმპერიალიზმის ყაჩაღური სურვილებისა და ინგლისის მომავალ სამხედრო მოქმედებათა გეგმის შესახებ. მუშები აღშფოთებით შეხვდნენ ფაშიზმის ყაჩაღურ პოლიტიკას.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ გაიმართა სახელდახელო მიტინგი. საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **დანიელიანმა** მიტინგს მოკლედ გააცნო კომინტერნის მიმართვის შინაარსი: მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მიმართვა მეორე ინტერნაციონალისადმი, გაგზავნილი ჯერ კიდევ 8 დღით ადრე აბისინიაში იტალიის მიერ ომის დაწყებამდე, კომუნისტების და მშვიდობიანობის მოყვარე ხალხთა მიერ აბისინიის დაცვა და სხვა. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლის შინაარსია: ზიზღი ყაჩაღებს! იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტისაგან გვიხსნის მხოლოდ მოქმედების ერთიანი ფრონტი.

კრებამ დაადგინა: იტალია-აბისინიის ომის საკითხზე 20 ოქტომბრამდე მოწყობილ იქნას პოლიტდღე და კომინტერნის აღნიშნული მოწოდება შეისწავლოს ყოველმა მუშამ.

დამთავრდა ა.-კ. საჭადრაკო ტურნირი

დამთავრდა საჭადრაკო ტურნირი, ამიერკავკასიის პირველობაზე. 10 ოქტომბერს შესდგა უკანასკნელი ტური. დიდი ინტერესი მიიპყრო **კასპარიან—კარაპეტიანის და ებრალიძე—ფირცხალავას** პარტიებმა. ორივე პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად ტურნირში გამარჯვებული გამოვიდა სომხეთის ფალავანი ამხ. **რ. კასპარიანი**, რომელმაც მთელი ტურნირი წაუგებლივ ჩაატარა.

მეორე ადგილი დაიკავა ტფილისის ფალავანმა ამხ. **ებრალიძემ**, რომელმაც მხოლოდ კასპარიანთან წააგო. მესამე ადგილზე გამოვიდა ტფილისელი მოჭადრაკე ამხ. **აბრამიანი**.

ა. სტეცკი

პროპაგანდისტებისა და აგიტატორების შესახებ

საკავშირო კ.პ. (ბ) ც. კ.-ის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე

საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად იდეურ - აღმზრდელობით მუშაობას პარტიაში.

ამ მუშაობის როლი და მნიშვნელობა ბოლო დროს არაერთხელ ყოფილა ხაზგასმული. ამხანაგმა სტალინმა მე-17 ყრილობაზე ნათლად და ზუსტად მიგვითითა, რომ ახლანდელ ეტაპზე აუცილებელია „გავაძლიეროთ იდეოლოგიური მუშაობა პარტიის ყველა რგოლში“; რომ აუცილებელია „გავწიოთ ლენინიზმის დაუღალავი პროპაგანდა პარტიის რიგებში“. ამ მითითებებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს პარტიის წესდებაშიც, რომელიც მე-17 ყრილობამ მიიღო. ეს წესდება ყოველ კომუნისტს ავალდებულებს „დაუღალავად იმუშაოს თავისი იდეური შეიარაღების გასაძლიერებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, პარტიის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ორგანიზაციულ გადაწყვეტილებათა შესათვისებლად და განუმარტოს ისინი უპარტიო მასებს“.

ჩვენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების მიჯნაზე ვიმყოფებით. მსოფლიო - ისტორიული ამოცანა, რომელიც ჩვენს პარტიას დაეკისრა, — სრული სოციალიზმის მიღწევა უახლოეს წლებში, კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევა არა მარტო ეკონომიკაში, არამედ ადამიანთა შეგნებაშიც, — პარტიის წევრებისაგან უფრო მეტ ორგანიზებულობას, დისციპლინას მოითხოვს. უდიდეს შეგნებულობას, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ცოდნას, ჩვენი პარტიის ისტორიის ცოდნას მოითხოვს.

XVII ყრილობის შემდეგ პარტიული პროპაგანდა თვალსაჩინოდ გაფართოვდა. პროპაგანდისტთა წრეები, რომლებიც პარტიის პოლიტიკის საფუძვლებს, მის ისტორიას სწავლობენ, ლენინიზმს სწავლობენ, ამჟამად პარტიის ერთ მილიონზე მეტ წევრს, კანდიდატსა და თანამგრძნობს მოიცავენ. ეს წრეები უფრო რეგულარულად მუშაობენ, თავის კურსს უფრო საფუძვლიანად გადიან.

მაგრამ პროპაგანდის საქმე ჯერ კიდევ მაინც უაღრესად დაბალ დონეზე რჩება. იგი ჯერ კიდევ მაინც არ დგას პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ ყოველდღიურ ზრუნვას პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის სწორად წარმართვისა და მოწყობისათვის.

თვით პროპაგანდისტთა წრეებში ჯერ კიდევ ბლომად ვხვდებით შეგირდობას, სქოლასტიკას, პარტიის დღევანდელი პოლიტიკური ამოცანებისა და ბრძოლისაგან მოწყვეტას.

საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამ, ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის 1935 წ. 29 მარტის დადგენილებამ აღნიშნეს პროპაგანდისტული მუშაობის ძირითადი ნაკლოვანებანი მისი ორგანიზაციის თვალსაზრისითაც, მისი დედაარსის თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით პარტიის ისტორიის შესწავლის მხრივ.

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში „პროპაგანდისტულ მუშაობაზე უახლოეს დროში“ ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება ექცევა გადამწყვეტ რგოლზეც პროპაგანდის დაყენების საქმეში. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს გულდასმით იზრუნონ პროპაგანდისტების შერჩევისა და მომზადებისთვის, ვინაიდან მათ **„მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ უწინარეს ყოვლისა პროპაგანდისტზე არის დამოკიდებული პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის დონე სკოლებსა და წრეებში“.**

ეს დებულება ყველა მისგან გამომდინარე შედეგით პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა შეითვისონ. პროპაგანდის იდეური დონე, მისი ხარისხი, მისი წარმატება, პარტიის წევრების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის, პარტიის ისტორიის, მისი პოლიტიკის საფუძვლების შეთვისება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის დაეკისრება პარტიული წრეებისა და სკოლების ხელმძღვანელობა, დამოკიდებულია პროპაგანდისტზე.

ამას გვეუბნება იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი გამოცდილება, და ლენინისა და სტალინის მიერ არაერთხელ გამოთქმული მოსაზრებანი.

*

იდეურ - აღმზრდელობითი მუშაობის გაქანება, პარტიული სკოლებისა და წრეების ქსელის გაფართოება, ამ მუშაობის უფრო მაღალ დონეზე აყვანის ამოცანები მოითხოვენ, რათა პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროპაგანდისტების შერჩევას, მათთან მუშაობას, მათთვის დახმარების გაწევას.

გასული წლის სექტემბერს ცენტრალურმა კომიტეტმა თავის გადაწყვეტილებაში რაიკომებს წინადადება მისცა შექმნათ სპეციალური კომისიები პროპაგანდისტების შესარჩევად და რაიკომთა ბიუროების სხდომებზე დაემტკიცებინათ პროპაგანდისტთა შემადგენლობა.

ცენტრალური კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას ორგანიზაციების უმრავლესობაში **არ ასრულებენ.** და არ ასრულებენ მას სწორედ ჩვენი პარტიის მოწინავე სამრეწველო ორგანიზაციებში.

როგორც წესი, პროპაგანდისტების წამოყენება პარტიულ აპარატის დამხმარე რგოლებში ხდება. პროპაგანდისტს შეარჩევს არა პარტკომის მდივანი, არც თუ კულტპროპის გამგე, არამედ პარტკაბინეტის გამგე და საამქროს პარტორგი. თუ პროპაგანდისტებს პარტკომის ბიურო კიდეც ამტკიცებს, ეს დამტკიცება ფორმალურად ხდება. ნამდვილად არც პარტკომის მდივანი, არც, მით უფრო, რაიკომის მდივანი თავის პროპაგანდისტებს არ იცნობენ, მათს მუშაობას არ ამოწმებენ, არც რაიმე დახმარებას უწევენ.

პარტკომის მდივანს თავის პარტიულ მოვალეობად მიაჩნია — და ეს სავსებით მართებულია — თვითეულ პარტორგს პირადად იცნობდეს და მათთან თათბირებს რეგულარულად მართავდეს. მაგრამ როცა სიტყვა პროპაგანდისტებზე ჩამოვარდება, მდივანი ჩვეულებრივ კულტპროპის, ან პარტკაბინეტის გამგისკენ გისტუმრებთ.

ასეთი დამოკიდებულება იმ კადრების შერჩევასა და ხელმძღვანელობასთან, რომლებიც იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში საკმაოდ თვალსაჩინო როლს ასრულებენ, უდიდეს საფრთხეს შეიცავს.

პარტიული პროპაგანდის ქსელი ფართოვდება, განსაკუთრებით პარტიის ისტორიის წრეების ხაზით, ხოლო ამ წრეების ხელმძღვანელებად ხშირად ხდებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც პარტიის ისტორიას თითონაც არ იცნობენ, რომელნიც იბნევიან ელემენტარულ საკითხებში, რომელნიც სახელს უტეხენ პარტიის ისტორიის სწავლებას, ხოლო ზოგჯერ ბოროტი განზრახვითაც კი ამ ისტორიის შესწავლას ლენინიზმის წინააღმდეგ წარმართავენ.

პროპაგანდისტული მუშაობის მდგომარეობის გაცნობა ასობით მის მაგალითებს იძლევა. თუ როგორ მახინჯდება ლენინიზმის პროპაგანდა, პროპაგანდისტების არადამაკმაყოფილებელი შერჩევის გამო.

ეს არადამაკმაყოფილებელი შერჩევა იმჩნევა პროპაგანდისტთა კურსების შედგენასაც. იქაც აგრეთვე გვხვდებიან ისეთი ამხანაგები, რომელთაც პროპაგანდასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ, რომელნიც ამ საქმისათვის არ ვარგანან, რომელთაც თითონაც არ მოეპოვებათ ელემენტარული ცოდნა პარტიის ისტორიისა და ლენინიზმისა. ამის გამო პროპაგანდისტთა კურსების მუშაობა მეტწილად უნაყოფოა.

ეს იმის ბრალია, რომ პარტიული ორგანიზაციები აქ არღვევენ ბოლშევიკური მუშაობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. არ ზრუნავენ **ადამიანთა შერჩევისთვის**, უყურადღებოდ ეპყრობიან ისეთი ამხანაგების გამოვლინებას, რომელთაც შეუძლიათ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა გასწიონ.

პარტიულ ორგანიზაციებს ავიწყდებათ ლენინის მითითება პროპაგანდისტთა შერჩევის მნიშვნელობის შესახებ:

„სხვათა შორის, პროპაგანდისტების გამო მე მინდოდა კიდევ მეთქვა რამდენიმე სიტყვა იმის წინააღმდეგ, რომ ეს პროფესია ჩვეულებრივ ზედმეტად ივსება ნაკლებად უნარიანი ადამიანებით და რომ ამით ქვეითდება პროპაგანდის დონე. ჩვენში ზოგჯერ განურჩევლად ყოველი სტუდენტი ითვლება პროპაგანდისტად, და მთელი ახალგაზრდობა მოითხოვს, „წრე ჩამაბარეთო“ და სხ. ამას უნდა შევებრძოლოთ, ვინაიდან ამას ძალიან დიდი ზიანი მოაქვს. პრინციპულად ნამდვილად გამობრძმედილი და უნარმქონე პროპაგანდისტები **ძალიან ცოტანი არიან**“ (და რომ პროპაგანდისტები ასეთებად გახდნენ, მათ საფუძვლიანად უნდა ისწავლონ და გამოცდილება შეიძინონ“), და ასეთი ადამიანები უნდა დავახელოვნოთ, მთლიანად ჩავაბათ საქმეში და მათ უაღრესად გავუფრთხილდეთ“ (ლენინი, თხზ. ტ. V, გვ. 185. „წერილი ამხანაგს ჩვენი საორგანიზაციო ამოცანების შესახებ“).

*

პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი აპარატი უნდა მოქმედებდეს, როგორც ცოცხალი პოლიტიკური აპარატი, რომელიც სწრაფად გამოეხმაურება პარტიელთა და უპარტიო მუშათა წრეში წამოჭრილ ყველა საკითხს და გაუგებრობას. როგორც ისეთი აპარატი, რომელიც სწორად განუმარტავს მათ ამ საკითხებსა და პარტიის ხაზს.

ასე ჯერ კიდევ არ არის. ძალიან ხშირად მეცადინეობა წრეებსა და სკოლებში იმგვარად სწარმოებს, რომ კმაყოფილდებიან სახელმძღვანელოს ამათუიმ გვერდის წაკითხვითა და განმარტებით. პროპაგანდისტი არა თუ არ ცდილობს გამოარკვიოს, თუ რა კითხვები აქვთ მსმენელებს, არამედ ხშირად თავს არიდებს ამ კითხვებს, გვერდს უხვევს მათ იმ საბაბით, რომ ისინი მეცადინეობის გეგმას არ შეეფერებიანო, ან უსაყვედურებს კიდეც პარტიელებს, „გარეშე“ კითხვებს რად იძლევითო.

ეს სხვა არაფერია, თუ არ პროპაგანდის სრულიად შეუწყნარებელი დამახინჯება, პროპაგანდისტული მუშაობის ბიუროკრატიზაცია. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში „პროპაგანდისტულ მუშაობაზე უახლოეს დროში“ არის ორი ფრიად არსებითი პუნქტი, შეტანილი ამხანაგი სტალინის პირდაპირი მითითებების მიხედვით:

„ყველა სკოლისა და წრის მეცადინეობის მსვლელობაში სავალდებულოა გაიმართოს საუბრები წრის წევრებთან პარტიის პოლიტიკისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე და განემარტოს წრების წევრებს ისეთი საკითხები, რომლებიც მათთვის გაურკვეველია, ან რომლებიც მათ აინტერესებთ“.

და მეორე:

„საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს და ნაც. კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, აგრეთვე რაიკომებს: შექმნან კომიტეტებთან პროპაგანდისტებისა და აგიტატორების აქტივი. პარტიული კომიტეტების დავალებით პროპაგანდისტული და საგიტაციო მუშაობის გასაწევად, ამასთან სისტემატურად გაუწიონ ინსტრუქტაჟი ამ აქტივს და მოამზადონ იგი“.

ორივე ეს მითითება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. და ორივე ამ მითითებას. ეს სვერდლოვის ოლქის და ზოგიერთი სხვა რაიონის გამოკვლევამ გვიჩვენა, ადგილობრივი ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ ასრულებენ.

ბევრი მუშაკი ფიქრობს, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების სიის შედგენაც კმარა — ყველაფერი რიგზე იქნებაო. კმარა — ეს მომხსენებლები და პროპაგანდისტები პოლიტიკური კამპანიების განსაზღვრულ მომენტებში გავგზავნოთ მოხსენებების გასაკეთებლად საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, და საგიტაციო - პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანები ამით სავსებით ამოწურული იქნებაო.

ეს სრულიადაც ასე არ არის.

პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის უნდა იყვნენ იმ საკითხების კურსში, რომლებიც აღელვებს, აინტერესებს მუშებსა და კოლმეურნეებს, რომლებიც მათთვის ნათელი არ არის, რომელთა პასუხსაც ისინი მოითხოვენ.

უაზრობა და სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს საერთო მოხსენებები, საპარადო მოხსენებები, ამათუიმ პოლიტიკური კამპანიის ჩატარების წესით, ყველა ამ საკითხს ამოსწურავდეს... არა ამისათვის აუცილებელია უფრო მოქნილი მიდგომა, ამისათვის აუცილებელია ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ მასის ყველა ეს მრავალფეროვანი შეკითხვა საშინაო და საგარეო მდგომარეობის ყველა მომენტის შესახებ, რათა მათ სწორად და დროზე გავსცეთ პასუხი. პარტიული საგიტაციო - პროპაგანდისტული მუშაობის ეს უმნიშვნელოვანესი მხარე ბევრ პარტიულ ხელმძღვანელს **დავიწყებული აქვს.**

მას კი უაღრესად არსებითი მნიშვნელობა აქვს მასის პოლიტიკური აღზრდის საქმეში მათი ხელმძღვანელობის საქმეში.

თუ პარტიულ ორგანიზაციებს არ შესწევთ უნარი პასუხი გასცენ და თუ ისინი არ აძლევენ პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც მუშებს და პარტიელებს აღელვებს, მაშინ ხალხი ხმებით იკვებება, და აქ მტრების მუშაობისათვის მადლიანი სარბიელი ჩნდება. მათაც მხოლოდ ეს უნდათ. ისინი სარგებლობენ ამ მომენტით, რათა გაავრცელონ ათასგვარი ჭორი და პარტიის პოლიტიკას სახელი გაუტეხონ.

პროპაგანდისტებისა და აგიტატორების აქტივი უნდა მოქმედებდეს, როგორც ცოცხალი პოლიტიკური აპარატი. იგი უნდა მუშაობდეს რაიკომების მითითებით, თუ ერთ საწარმოში ამხანაგებმა ვერ გაიგეს, ვთქვათ, პაქტების საკითხი, თუ მეორე საწარმოში ლაპარაკია ერთიან ფრონტზე და ადგილობრივ ორგანიზაციას არ შეუძლია ავტორიტეტულად და სწორად განმარტოს ეს საკითხები; თუ მესამე ადგილას თავი უჩენია რაიმე გაუგებრობას [illegible] საკითხებზე, ან მუშები და კოლმეურნეები მოითხოვენ, რათა მათ განუმარტონ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებანი, ან გაუშუქონ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, — პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან სასწრაფოდ გამოეხმაურონ ამ საკითხებს, და ამ შემთხვევაში იმოქმედონ, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების აქტივის მეშვეობით.

და აქ აუცილებელია სხვადასხვა მეთოდი გამოვიყენოთ. სრულიადაც არ არის სავალდებულო, აგიტატორი და პროპაგანდისტი ყველგან მომხსენებლის როლში გამოდიოდეს. მას შეუძლია გამართოს საუბარი,

როგორ ყალიბდებოდა ბელადი

პორფილე ქურიძე

ყოფილი როტშილდის ქარხნის
- ძველი მუშა

სოსომ გვასწავლა პროლეტარული ბრძოლა

(მოგონება)

1900 და 1901 წ. წ. ბათომის მუშებში „ხაზინების“ წინააღმდეგ უთანხმოებამ იჩინა თავი. ყველა უკმაყოფილო იყო მით, რომ კაპიტალისტები ცოტა ხელფასს იძლეოდნენ, ბევრს კი ამუშავებდნენ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ გაფიცვებით შეიძლებოდა ჩვენი პირობების გაუმჯობესება.

1901 წლის მიწურულში მოდის ჩემთან კოწია კანდელაკი და მეუბნება: „კაცი ჩამოვიდა, რომელსაც უნდა მუშებში მუშაობა, შევიკრიბოთ შენს ოთახშიო“.

მე და კოტრიკაძე ერთად ვცხოვრობდით, ეს ამბავი ჩვენ გავაგებინეთ რამდენიმე სანდო ამხანაგს, მოვიყარეთ თავი. ილაპარაკა სოსომ. აგვიხსნა ჩვენი სიღარიბის და გაჭირვების მიზეზები. მისმა აგიტაციამ ყველას თმაყალყზე დაგვიყენა. მე და კოტრიკაძეს გვინდოდა სოსო კრების შემდეგ დარჩენილიყო ჩვენთან და კერძოდ გვესაუბრა მასთან, მაგრამ კანდელაკმა არა ჰქნა: სოსო კრების დაშლამდე უნდა წავიყვანო, კერძოდ შემდეგ ვილაპარაკოთო.

ამის შემდეგ შევადგინეთ წრეები. დავაარსეთ სალარო, ვიხდიდით საწევრო გადასახადს 2 კაპიკს მანეთზე და ვაბარებდით მოლარეს. სულ მოკლე ხანში ორი სამეცადინო წრე დავაარსეთ, რომლებშიაც სოსო დაიარებოდა. ერთ ღამეს ორ ადგილას უხდებოდა მეცადინეობა. ხშირად, ჩვენთან რომ მოვიდოდა, ჩაიცვამდა კოტრიკაძის ჩოხას და სამეცადინოდ ისე წავიდოდა მეორე წრეში.

ერთხელ სოსო ერთ რუსულ წიგნს კითხულობდა. ვკითხე, ეგ რა წიგნი არის-მეთქი. მიპასუხა: „ეს არის ჰეგელი, რომელიც მარქსის წინამორბედი იყოო“.

კარლო ჩხეიძემ და ის. რამიშვილმა გაიგეს, რომ ვიღაც მოსულა მუშებში და ამხედრებს მათ. შემოუთვალეს სოსოს, რომ მისულიყო მათთან. მაგრამ სოსომ გულმოსულმა განაცხადა: მე იმათთან არ მივალ. ისინი კაბინეტის ხალხია, ქუჩის ბრძოლას გაურბიანო. ამის შემდეგ დიდი უთანხმოება იყო ბათომის ამ ინტელიგენციასა და სოსოს შორის. ჩვენ, ვინც სოსოს მხარს ვუჭერდით, სოსოისტებს გვეძახდნენ.

ახალ წელს ღამეს, 1902 წელი რომ დადგა, სოსომ გვითხრა: „ამხანაგები შევგროვდეთ და ვახშამი ერთად ვჭამოთო“. ჩვენც გავმართეთ ვახშამი სილიბისტრო ლომჯარიას ბინაზე. მოვიყარეთ თავი სანდო ამხანაგებმა. გვქონდა ღვინო. მაგრამ სოსომ გვთხოვა, ნუ დათვრებითო. ჩვენც ცოტ-ცოტას ვსვამდით. გათენებისას სოსომ აიღო ღვინით სავსე ჭიქა და სთქვა: „ყოველ ჩვენთაგანს დღე, მუდამ ვხედავდეთ ბრძოლის ველზე სამართლიანობისათვის საბრძოლად გამოსულს; სიკვდილის ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს, დღე, შევეწიროთ მუშათა განთავისუფლების საქმესო“. ამის გაგონებაზე მიხა გაბუნიამ წამოიძახა: „ღმერთმა ჩემს ლოგინზე ნუ მომკლასო“.

ერთ დღეს ვკითხულობთ განცხადებას, რომელიც გამოაკრეს მუშაობის შემცირების გამო, მუშების დათხოვნის შესახებ. დათხოვნილნი იყვნენ მუშები არა იმის მიხედვით, თუ ვის უფრო ნაკლები ემსახურნა. შევამჩნევდით, რომ ითხოვდნენ ისეთ მუშებს, რომლებიც მათთვის უფრო საშიში იყვნენ. მეორე დღეს, 1902 წლის 27 თებერვალს მოვილაპარაკეთ წრის თავებმა ყველა ცეხში, გავაცნოთ მუშებს სოსოს დირექტივები გაფიცვაზე. ამ დროს სოსო ტფილისში იყო სტამბის ჩამოსატანად. მოთხოვნილებები უნდა წარვადგინოთ. ამასობაში სოსოც სასწრაფოდ ჩამოვიდა. შევხვდი ლომჯარიას სახლში დათიკო ჩარკვიანთან. ულვაში და წვერი გაეპარსნა. ვეხუმრე, ულვაში რა უყავი-მეთქი. ხუმრობითვე მითხრა: „ტფილისში გავყიდეო“. შემდეგ ვუამბეთ ყველაფერი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგო ერთსულოვანი გაფიცვის მომზადების ამბავი როტშილდის ქარხანაში. გაფიცვაც მოეწყო სოსოს უშუალო ხელმძღვანელობით.

დავიწყეთ მოთხოვნების შედგენა. არ მახსოვს, რამდენი მუხლისაგან შესდგებოდა ეს მოთხოვნები. უკანასკნელი მოთხოვნა კი იყო: „როცა ჩვენ ვმუშაობთ, გვაძლევენ ხელფასს, მაგრამ როცა სამუშაო არა გვაქვს, მაშინაც უნდა მოგვცენ რამეო“. ჩვენ ვუთხარით სოსოს, ამას არ დააკმაყოფილებენ-თქო. „მეც ვიცი, არ დააკმაყოფილებენ—სთქვა სოსომ, — მაგრამ უნდა მოვითხოვოთ, ეს თქვენ დიდი რამე ნუ კი გგონიათ, პირუტყვსაც კი აქვს ასეთი უფლებაო“. გვირჩია ასე გვეთქვა კაპიტალისტებისთვის: თქვენ ცხენები გყავთ, აჭმევთ როცა ამუშავებთ, მაგრამ როცა არ ამუშავებთ, მაშინაც საჭმელს აძლევთ. ჩვენ, ადამიანები, პირუტყვის ოდენა უფლებებს ვთხოულობთ-თქო.

მეორე დღეს ქარხანაში ვართ დაბარებულნი. ქუთაისიდან ჩამოსულია გუბერნატორი სმაგინი. ქარხანაში ჩაყენებულია ქვეითი ჯარი. მოვგროვდით ყუთების დიდ საწყობში. აქ არიან გუბერნატორი, ქარხნის ადმინისტრაცია, სტრაჟნიკების უფროსი ლევან გურიელი. მოვითხოვეთ, რომ გურიელს წაეკითხა ჩვენი მოთხოვნები და რუსულად გადაეცა გუბერნატორისათვის. გურიელი კითხულობს ყველა მუხლს. ადმინისტრაცია ყურს უგდებს, გუბერნატორი - ტუჩებს იკვნეტს. უკანასკნელ მოთხოვნაზე ვერ მოითმინა და იყვირა: „სად გინახავთ, რომ მუშამ არ იმუშაოს და ფულს იღებდესო“. ლაპარაკი აღარ განუგრძვია: „გიბრძანებთ, ხვალ ქარხანა საყვირს რომ მისცემს, ყველა თავის ადგილას გამოცხადდით, ვინც ამას არ იზამს, ციმბირს გადავასახლებთო“.

იმავე ღამეს დააპატიმრეს 30 მოწინავე მუშა. მეორე დღეს სოსოს რჩევით გადაწყდა, მოვგროვებულიყავით ყველანი და დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება მოგვეთხოვნა. მოვგროვდით, წავედით, ჩავიარეთ ბაზარი. მივედით პოლიციის სამმართველოში, მოვითხოვეთ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება, მაგრამ უარი მივიღეთ. ამის შემდეგ მივადექით ციხის კარს. აქ ალყა შემოგვარტყეს ქვეითა ჯარისკაცებმა, მოვიდა ბათომის გუბერნატორი დრიაგინი, პოლიცმეისტერი და სხვები. მოითხოვენ ჩვენს დაშლას. ჩვენ მოვითხოვეთ დაჭერილი ამხანაგების განთავისუფლება, ან ჩვენი დაპატიმრება. ჯარს უბრძანეს, კონდახებით დაუშინეთო. დაგვერივნენ, მაგრამ ვერ დაგვშალეს. ამის შემდეგ გამოგვიცხადეს, გამოვუშვებთ ამხანაგებს და ერთად წავალთ ყაზარმაში, სადაც დაპატიმრებული იქნებითო. გააღეს ციხის კარები, შემოგვიერთდნენ დაპატიმრებული ამხანაგები და გავსწიეთ ყაზარმისაკენ.

სოსოც ჩვენთან არის. გვითხრა: არ გაიქცეთ, თორემ გესვრიანო. მე და კოტრიკაძე ერთად ვიყავით. სოსომ დაგვიძახა, სიმღერა დაიწყეთო. მაშინ რევოლუციური სიმღერა ჯერ კიდევ არ ვიცოდით და „ალიფაშა“ დავიწყეთ. მოგვიყვანეს ყაზარმაში და „დაგვაბინავეს“. მგონი, ვიქნებოდით 250 კაცამდე. ეს იყო 8 მარტს. 9 მარტს მუშებმა იწყეს თავმოყრა, სადაც ჩვენ ვართ, იმ ქუჩაზე. გავიგეთ, რომ სოსოს განკარგულება გაეცა, გაიფიცეთ ყველა ქარხნის მუშები და მოითხოვეთ ამხანაგების განთავისუფლებაო. ჩვენ გადმომდგარი ვართ მეორე სართულზე და ყველაფერს ვხედავთ.

მოვიდა გუბერნატორი. გამოიყვანეს ჯარი, დააყენეს დასავლეთით. ხალხი მოითხოვს ჩვენს განთავისუფლებას. გუბერნატორი ეუბნება, გვადროვეთ ქუთაისს ვაცნობოთ. მაშინ ბათომი ქუთაისს ემორჩილებოდა. ხალხის ნაწილმა გადმოტეხა ჩვენი ჭიშკარი და შემოგვიერთდა. ხალხის მეორე ნაწილმა ქვა და ფიცრის ნატეხი დაუშინა ჯარისკაცებს. ჯარს მეთაურობდა ანთაძე. ამ ჯარში იყვნენ ოფიცრები დავით კლდიაშვილი და იმნაძე. ანთაძეს მოხვდა თავში ქვა და ცხენიდან ძირს ჩამოაგდო.

მეორე დღეს ჩამოგვიტანეს პროკლამაციები. ეს იყო ახალჩამოტანილ სტამბაში დაბეჭდილი. ყველანი მივხვდით, რომ სოსოს ნაწერი იყო. პროკლამაცია გვამხნევებდა და წყევლა-კრულვით იხსენიებდა მთავრობას, როგორც უდანაშაულო და უიარაღო მუშების სისხლის დამღვრელს. პროკლამაციის ბოლოს ეწერა: „ბათომის სოც. დემოკრატიული ჯგუფი—რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა“.

რამდენიმე დღის შემდეგ გადაგვასახლეს ჩვენ—ჩვენ სოფლებში და აგვიკრძალეს ბათომს ჩასვლა. კვირაში ერთხელ მამასახლისთან უნდა გამოვცხადებულიყავით კანცელარიაზე. ჩვენი გადასახლების შემდეგ ქარხნის ადმინისტრაცია შეეცადა ქარხნის ამუშავებას. მოიყვანეს შტრეიკბრეხერები, ზოგი ჩვენი ამხანაგი დაბრუნდა სოფლიდან, ზოგიც იქ იყო დარჩენილი, მათ მიჰმართეს ტერორს. გამოდიოდა პროკლამაციებიც. ერთ პროკლამაციაში, რომელიც სოფელში ამოიტანეს, ეწერა: „სანამ როტშილდის გაფიცული ერთი მუშა მაინც ცოცხალი იქნება, ქარხნის ამუშავებას ვერ შესძლებენო“. სოფელში გავიგეთ, რომ 5 აპრილს სოსო და კოწია კანდელაკი დაეპატიმრებინათ. ძლიერ დავღონდი, მაგრამ რა გაეწყობოდა.

მას შეუძლია პირდაპირ უპასუხოს კითხვებზე, რომლებსაც კრებაზე მისცემენ, მას შეუძლია ინსტრუქტაჟი გაუწიოს ადგილობრივ აქტივს, რათა ამ აქტივმა თვითონ გასწიოს ახსნა - განმარტებითი მუშაობა. ამასთან, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ამ მხრივ ყველაზე დასაფასებელი არიან საწარმოს ძველი მუშაკები, მუშები და კოლმეურნეები, რომლებიც მასას იცნობენ, რომლებსაც მასაც იცნობს და პატივს სცემს და რომლებსაც თვითონ შეუძლიათ უამბონ მას ყველაფერი ისე, როგორც ეს საჭიროა.

იგივე უნდა ითქვას პროპაგანდისტთა აქტივის შესახებაც.

ადგილობრივ პროპაგანდისტებს ხშირად არ შეუძლიათ ამა თუ იმ კითხვაზე პასუხი გასცენ, ამჟამად ისეთი წესია, რომ ეს კითხვები, საუკეთესო შემთხვევაში, საერთოდ გაუმარტავად რჩება. ხოლო არიან ისეთი ფიცხი პროპაგანდისტებიც, რომლებიც, რაკი ისინი ვერ ბედავენ პირდაპირ თქვან, ჩვენ თვითონ არ ვიცით, ეგო, თავს ესხმიან იმ ამხანაგს, რომელიც შეკითხვას იძლევა ან რაიმე ეჭვს გამოსთქვამს, ცდილობენ ჩაჩუმონ იგი უხეში შეყვირებით, ან ემუქრებიან მას გადახრაში ბრალის დადებით.

ეს სამარცხვინო შემთხვევებია.

ნამდვილად ყოველი პროპაგანდისტი უაღრესი ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს მსმენელების კითხვებს და დაეჭვებას. და თუ თვითონ მას და ადგილობრივ პარტორგანიზაციას არ შეუძლიათ გააქარწყლონ ეს დაეჭვება, რომლებიც პარტიის ისტორიისა, თეორიის ან მის პოლიტიკას ეხება,—მაშინ პროპაგანდისტმა რაიკომს უნდა მიმართოს.

და აქ დახმარება უნდა გაუწიონ უფრო გამოცდილმა, უფრო მცოდნე ამხანაგებმა პროპაგანდისტებისა და აგიტატორების აქტივიდან.

ამგვარად, ამ აქტივის როლი სრულიადაც არ განისაზღვრება იმით, რომ ისინი საზეიმო დღეებში მოხსენებებით გამოვიდნენ. ამ აქტივის ამოცანები არ იფარგლება აგრეთვე ადგილობრივ პროპაგანდისტებისა და აგიტატორების ინსტრუქტირებით.

ამ აქტივის ამოცანაა გაწიოს რაიკომისა და ზემდგომ პარტიული ორგანოების მითითებით ყოველდღიური აგიტაცია და პროპაგანდა, გამოეხმაუროს მასების შეკითხვებს, პასუხი გასცეს მათ, დაეხმაროს მათ პარტიის პოლიტიკის განმარტების საქმეში.

*

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ცნობებით, პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის ზოგიერთი ხელმძღვანელი ოლქებში ჯერ კიდევ არ გარკვეულა, რომ სათანადოდ ჩაფიქრდებოდა პროპაგანდისტთა და აგიტატორთა აქტივის შესახებ ც. კ-ის მიერ მოცემულ მითითებათა აზრსა და მნიშვნელობას. ზოგიერთი მათგანი პროპაგანდისტებისა და აგიტატორების აქტივის მთელ მუშაობას განსაზღვრავს მოხსენებებით, ლექციებით და—სულ ბევრი—პარტიული განათლების ქსელის სკოლათა და წრეთა ხელმძღვანელების ინსტრუქტირებით. ხოლო ზოგიერთი, როგორც, მაგალითად, საკ. კ. პ. (ბ) ვორონეჟის ოლქკომის კულტპროპის გამგე ამხ. გენკინი სთვლის, რომ ოლქკომთან აქტივის შექმნის ამოცანა არსებითად უკვე შესრულებულია, რადგან აქტივი მომხსენებლების, ინსტრუქტორების და სხვათა სახით „დიდი ხანია არსებობს“. დაგვრჩენია მხოლოდ გავაფართოვოთ ეს „უკვე დიდი ხნის არსებული აქტივი“. ნამდვილად კი ვორონეჟის ოლქკომთან ისეთი აქტივი, რომელზეც ზემოთ ლაპარაკი იყო, არ არის. აქეთ სია მომხსენებლებისა და ინსტრუქტორებისა პოლიტიკური კამპანიების ჩასატარებლად. სხვათა შორის, თვითონ ამხ. გენკინიც აცხადებს, ოლქკომთან არსებულ ამ აქტივს დაკისრებული აქვს „იგივე ამოცანები, როგორც წინათ“. ხოლო, თუ რა კეთდება რაიონებში აქტივის ორგანიზაციის შესახებ ც. კ-ის მიერ მოცემულ მითითებათა შესასრულებლად — ამხ. გენკინმა ამისა არაფერი იცის.

ასევეა საქმე ბელორუსიაში. ბელორუსიის კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპის გამგე ამხ. კონიკი ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პროპაგანდისტთა და აგიტატორთა აქტივის ამოცანებს არსებითად ლექტორთა ჩვეულებრივი ჯგუფის ფუნქციებით განსაზღვრავს. ამხ. კონიკმა არ იცის აგრეთვე, თუ ნამდვილად რა მდგომარეობაა რაიონებში პროპაგანდისტთა და აგიტატორთა შექმნის მხრივ. იგი ფიქრობს, რომ რაიონებში პროპაგანდისტებისა და აგიტატორების აქტივი, რომელიც, მისი სიტყვით, „იქ ყოველთვის არსებობდა“, ახლა გაფართოვდა. ამასთან ამ აქტივის ამოცანებად ამხ. კონიკს მიაჩნია „წრეებში სწავლება და მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე მოხსენებების კითხვა“.

მთელი რიგი ოლქებისა და მხარეების (10-ზე მეტისა) შესახებ შეკრებილი ცნობები გვიჩვენებენ, რომ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები სათანადო მნიშვნელობას არ აკუთვნებდნენ ცენტრალური კომიტეტის მითითებას პროპაგანდისტთა და აგიტატორთა აქტივის შექმნის შესახებ. ზოგ შემთხვევაში ეს მითითება სრულიადაც არ არის შესრულებული, სხვა შემთხვევებში პროპაგანდისტთა და აგიტატორთა აქტივის შექმნას ფორმალურად მიუდგნენ. პროპაგანდისტებისა და აგიტატორების აქტივის თავისი მუშაობა ჯერ არსად გაუშლია, ისეთ მოწინავე ორგანიზაციებშიც კი, როგორიც მოსკოვისა და ლენინგრადის ორგანიზაციებია, ამ მხრივ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს სდგამენ.

პარტიის საქალაქო კომიტეტები და რაიკომები საოლქო და სამხარეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ჰბაძავენ. პარტიის სვერდლოვსკის ოლქკომის კულტპროპის გამგე ამხ. უშიოკოვი იუწყება, სვერდლოვსკის ოლქში მრავალ ადგილას ცდილობენ „რაიკომებთან არსებულ რწმუნებულთა აქტივი“ მექანიკურად, პერსონალური შერჩევის მოუხდენლად, პროპაგანდისტთა და აგიტატორთა აქტივად „გადაარქვან“. ხოლო იაროსლავლში ამასაც კი ვერ ვხედავთ. იქ არის მხოლოდ პარტიული განათლების ქსელის წრეთა და ხელმძღვანელთა მომხსენებლებისა და ხელმძღვანელების აქტივი პარტკაბინეტთან.

პროპაგანდისტებისა და აგიტატორების აქტივის ორგანიზაციის ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ პროპაგანდისტებისა და აგიტატორების აქტივის შეუქმნელად, რომელიც უნდა მოქმედებდეს, როგორც ცოცხალი პოლიტიკური აპარატი, — საგიტაციო—პროპაგანდისტული მუშაობის სერიოზული გაუმჯობესება წარმოუდგენელია.

◆

ამხ. ა. ავშაროვა საუკეთესო პარტორგი ინჟინერი. ამხ. ბერიას სახელობის ვაგონსარემონტო ქარხანაში მთელი მისი ჯგუფი 100% არის ჩაბმული პოლიტსწავლებაში. სურათზე: ამხ. ა. ავშაროვა ქარხნის პარტკაბინეტში ადგენს ამხ. ბერიას მოხსენების კონსპექტს.

წითელი სამიჯნეები გურიელის ნაფუძარში

ნაშუადღევის 5 საათზე სოფ. ტაბანათის (ლანჩხუთის რაიონი) სკოლის ეზოში უამრავ კოლმეურნეს მოუყრია თავი. არიან რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგებიც.

საზეიმოდ მორთულ სოფელში არაჩვეულებრივ მხიარულებაა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ — ამხ. **ზაქრო ჩხიკვაძემ** კრება გახსნილად გამოაცხადა. სიტყვა რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. **ლავრენტი ხოსელიას** ეძლევა.

ამხ. სოსელია მოკლედ და მარტივად უხსნის დამსწრეთ სახელმწიფო აქტის დიდ პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობას.

მიწის სამუდამოდ სარგებლობის სახელმწიფო აქტი, — ამბობს ამხ. სოსელია, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს კოლმეურნეობებს პოლიტიკურად და ორგანიზაციულად. ჩვენი ვალია, ავითვისოთ, გავანოყიეროთ ეს მიწები, რომ ვაცილებით მეტი მოსავალი მივიღოთ.

კოლმეურნეებში უდიდესი სიხარულია. ამხ. სოსელია აბარებს აქტს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ზ. ჩხიკვაძეს.

ჩაქურაში გამოწყობილი გუნდი ასრულებს „ინტერნაციონალს“. გაისმის ვაშას ძახილი: „გაუმარჯოს სტალინს“.

საპასუხო სიტყვით გამოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ჩხიკვაძე.

— ვიბარებთ რა სახელმწიფო აქტს მიწის უვადო სარგებლობის შესახებ, პარტიას და ხელისუფლებას ვაძლევთ ბოლშევიკურ სიტყვას. უკეთესად დავაყენოთ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა.

ამ მიწის არცერთ გოჯს არ დავტოვებთ მოუვლელად: ავითვისებთ მთლად და მოვიყვანთ მეტ მოსავალს, ვიდრე ეს დღემდე იყო.

გამოდის დამკვრელი კოლმეურნე ამხ. **არსენ მდინარაძე**. იგი ულოცავს კოლმეურნეებს უდიდეს დღესასწაულს.

ეს ის მდინარაძეა, რომელმაც პირველად მოაწერა ხელი განცხადებაზე ამ სოფელში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შესახებ.

არსენი ხანში შესული კაცია, მას კარგად ახსოვს წარსული ცხოვრება. ეს მიწები, რომელიც ახლა კოლმეურნეობას გადაეცა, თავად დათა გურიელს ეკუთვნოდა. გლეხები ამუშავებდნენ, მოსავალი კი მებატონეებს მიჰქონდათ.

აი, ეს ეზოც, ეს სკოლის შენობაც, სადაც ახლა ზეიმია, ბატონ ვანო გურიელისა იყო.

— მახსოვს, — უამბობს კრებას არსენი, — ერთხელ გლეხი ჯიბლაძე გურიელის მამულში ჩევიდა. იქ ზეგანი გამოკაფა და ყანა დათესა. გაიგო თუ არა ეს გურიელმა, შემოგვისია „სტრაჟნიკები“ და მთელ სოფელს ზურგი მათრახებით აგვიწითლა. ახლა ზეგანიც ჩვენია და დაბლობიც. იგი ჩვენ ოქტომბრის რევოლუციამ მოგვცა.

— ძმებო, ამხანაგებო! ვიმუშაოთ პატიოსნად, ვიმუშაოთ ისე, როგორც ჩვენი დიდი ბელადი ამხ. სტალინი გვასწავლის. მაშინ ჩვენ, ყველა შეძლებულები გავხდებით.

მიწათმომწყობმა ა. ალავიძემ გააცნო დამსწრეთ კოლმეურნეობისათვის გადაცემული მიწის მასივი.

მოწაფე გოგი ტულუშმა წაიკითხა რაფიელ ერისთავის ლექსი, სადაც გლეხი გულამოსკვნილი დასტირის ბედს:

ეგ შავი მიწა მაინც რომ
სასყიდლადაც არა მქონოდა,
შავ სამარემდე, არ ვიცი,
მე რაღა დამაღონებდაო

ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო გლეხის ასეთ გოდებას, მიწა გლეხისაა, კოლმეურნეობისა.

ვინღა განიმეორებს ახლა ჩვენში, ამ სიტყვებს...

არავინ, არავინ...

ეს არის, რომ ახარებს ჩვენი კოლმეურნეების გულს, ამიტომაცაა, რომ მხიარულობენ ტაბანათელი კოლმეურნეები.

— მიწები წინათ გურიელების იყო, ახლა კოლმეურნეებისაა... იხარეთ, გურულო კოლმეურნეებო!

მ. მახარაძე.

როგორ მიმდინარეობს სახელმძღვანელოების გამოცემა

იმ 56 სახელმძღვანელოდან, რომელიც მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე უნდა გამოვიდეს (დამატებითი და მორიგი ტირაჟით) სახელგამმა დაამზადა და წარმოებას გადასცა 33 სახელწოდების დედანი.

15 ოქტომბრისათვის უნდა გამოვიდეს 18 სახელწოდების წიგნი.

სტამბებმა იკისრეს ვალდებულება 15 ოქტომბრამდე გეგმით განზრახულ 18 სახელმძღვანელოს ნაცვლად გამოსცენ 22 სახელმძღვანელო.

სათანადო წერილობითი შეთანხმება სტამბებსა და სახელგამს შორის უკვე გაფორმებულია და სტამბები დაკვრითი წესით მუშაობენ.

ითარგმნება და სარედაქციო დამუშავების პროცესშია ექვსი სახელმძღვანელო.

„კომუნისტის“ სტამბას დამზადებული აქვს გადაცემულ 12 სახელმძღვანელოს მატრიცები. 12 სახელმძღვანელოდან უკვე დაბეჭდილია 4, დანარჩენი იბეჭდება, დაბეჭდილი სახელმძღვანელოები იკინძება. „კომუნისტის“ სტამბის კოლექტივი პირობას იძლევა, რომ 15 ოქტომბრისათვის რვა სახელმძღვანელოს გამოუშვებს.

სახელგამის 1-ლ სტამბას მიღებულ რვა სახელმძღვანელოდან აწყობილი აქვს 5 სახელმძღვანელო, დაბეჭდილი—1, მეორე სახელმძღვანელოს ბეჭდვა მთავრდება. დაბეჭდილი სახელმძღვანელო გადაეცა საამკინძაო სამქროს. მთელ ტირაჟს უკეთდება მაგარი ყდა.

სახელგამის მე-2 სტამბაში მიღებული 4 სახელმძღვანელოს აწყობა მოთავებულია. 2 სახელმძღვანელო დაბეჭდილია, საამკინძაო სამქრო მუშაობს დაბეჭდილი სახელმძღვანელოების აკინძვაზე.

„ტექნიკა და შრომას“ სტამბას მიღებული აქვს 4 სახელმძღვანელო, ამ სტამბამ 15 ოქტომბრისათვის 2 სახელწოდება უნდა გამოუშვას. ორივე აწყობილია და იბეჭდება.

პარტგამომცემლობის მე-3 სტამბას, „ცეკავშირის“ და „ზარია ვოსტოკას“ სტამბებს მიღებული აქვთ თითო სახელმძღვანელო, რომლებიც უნდა გამოვიდეს 15 ოქტომბრისათვის. პარტგამომცემლობის მე-2 სტამბა უკვე შეუდგა ბეჭდვას, „ცეკავშირის“ და „ზარია ვოსტოკას“ სტამბებს ჯერ აწყობაც არ მოუთავებიათ.

პარტგამომცემლობის 1-ლი სტამბის ადმინისტრაცია შეუწყნარებელ დამოკიდებულებას იჩენს სახელმძღვანელოების გამოცემის საქმისადმი. სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად, პარტგამომცემლობის 1-ლ სტამბას უნდა გამოეშვა 3 სახელმძღვანელო 36 ფორმის მოცულობით და 87.000 ტირაჟით. მას 28 აგვისტოს გადაეცა 1 სახელმძღვანელო 5 ფორმის მოცულობით და 52.000 ტირაჟით. მას შემდეგ ერთი თვე გავიდა და სტამბამ ძლივს შესძლო 5-ფორმიანი სახელმძღვანელოს აწყობა, აწყობილის დაბეჭდვასა და აკინძვაზე კი კატეგორიულ უარს აცხადებს. სტამბის ადმინისტრაციამ უარი სთქვა გაეფორმებინა ხელშეკრულება, რომელიც სახელგამმა სადირექტივო ორგანოების დადგენილების საფუძველზე შეადგინა. სტამბის ადმინისტრაციას ავიწყდება, რომ მას არავინ მისცემს უფლებას ჩაშალოს სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა.

უნდა ითქვას, რომ სტამბები პირნათლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში და მოსწავლე ახალგაზრდობას 15 ოქტომბრისათვის მიაწოდებენ განზრახულ 18 სახელმძღვანელოზე მეტს.

მაგრამ ამისათვის საჭიროა მრავალი დაბრკოლების დაძლევა, რაც წინ ეღობება სტამბების მუშაობას. ამ დაბრკოლებათა შორის უმთავრესია: ელდენის ხშირი შეწყვეტა, დამხმარე მასალების (წებო, მავთული, კალენკორი) ნაკლებობა და ზოგიერთი ავტორების, მთარგმნელების და კორექტორების უწესრიგო მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოებისათვის გამოყოფილია ყველა მასალების საკმაო ფონდი, ქარხნები თავს არ იწუხებენ მათი დროული გადმოგზავნისათვის.

მთარგმნელებისა და რედაქტორების უთავბოლო მუშაობის მაგალითად დავასახელებთ „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში გადაცემულ სახელმძღვანელოს — მარკოვისა და პოლოვინკინის „ფიზიკურ გეოგრაფიას“ მე-5 კლასისათვის (მთარგმნელი ს. იაშვილი, რედაქტორი დ. დონდუა). სტამბაში გადაგზავნილი დედანი სრულიად დაუმუშავებელი აღმოჩნდა, რამაც მეტისმეტად გაართულა სტამბის მუშაობა.

გადამჭრელი ზომები უნდა იქნეს მიღებული ყველა იმ ორგანიზაციისა და პირის წინააღმდეგ, ვინც თავისი უწესრიგო მუშაობით ხელს უშლის სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეს.

ე. ტოროტაძე.

ვაჟა-ფშაველა

ამირანი*)

(ხალხური ლეგენდა).

ადე, ამირან, რას გძინავს?
ცხენს დაუყარე ლანძილი,
დიაცს დაწუნებულსა
ტირილი გინდა გან ძილი!
ხალხური.

უზარმაზარი ტანისა,
კაცი ვინმე სჩანს კლდეშიო
გულის მდნობელი ნაღველი
უხმოდ დუღს იმის მკერდშიო.
უგრძნობი ჯაჭვი მკლავებზედ
ეხვევა როგორც გველიო
და აბლაბუდა თვალებზედ
გადაჰკრობია სქელიო.
ტანზედ აჰსხმია ყინული
და ხავსი შავის ფერისო,
სდგას ესე დაჩოქებული,
მომლოდნე ჯაჭვის მტვრევისო.
პირდაპირ დაყუდებული
ჟანგდება მისი ხმალიო,
მოსვენებასა თაკილობს,
ცრემლსა ღვრის, როგორც ქალიო.
დაჰვიწყებია ეს მონა
ძირს კაცსა, მაღლა ზეცასა,
არ იხსენებენ მისგანა
დევ-ეშმაკების ელეტასა.
მოზარე წამებულისა
ფეხთ ჩასწოლია ფინია,
ამ პაწაწინა არსებას
უცხო რამ დაუჭინია.
დაუსვენებლად ენითა
ლოკავს ჯაჭვს—უნდა გასწყვიტოს,
რომ თავი იხსნას ტანჯულმა,
ბილწი მჭედლები გასწყვიტოს,—
რომელთაც გრდემლზედ გაჰკვერეს
მის დასაბმელად ჯაჭვიო,
არ შეიბრალეს მართალი,
გაგზავნეს ტყვედა მთაშიო
რა გაწყვეტამდის მიიყვანს
ფინია რკინის მართულსო,
გულქვა მჭედელი გამოდის
გრდემლზედ კვერს უწყებს რაკუნსო.
და ჯაჭვი ისევ მთელდება
გულის საკლავად მონისო,
ნეტავ ეს ულვთო წვალება
ამ გმირს გასწირავს როდისო?
როდის ადგება ამირან
ჯაჭვ - აბჯრით შემოსილიო,
ჩამოსდენობდეს ყინული
და უცინოდეს პირიო.
იჭეროს ხელში თვის ხმალი,
იცქირებოდეს ბარადა,
მთა - კლდეთ გაჰქონდეს დგრიალი,
მას თავს უკრავდენ კლავადა.
მიწა იძრწოდეს, ღრუბელნი
ფუოდეს, ხტოდენ შავადა,
ქალაუცნი წვრილნი ვარსკვლავნი
მთებზე სხდებოდენ ჯარადა.
სადმე ზღვამ იგრძნოს ამბავი,
კარგების სანატრელიო,
დაუკრას ტკბილი საკრავი
ცას მიაწოდოს ხელიო.
მუნით ჩამოწვეს ღრუბელნი,
გაჩნდეს ცეცხლ-სეტყვა ხშირია,
იძახდენ მართლის ჯვარ-მცმელნი,
„ვაჰმე რა დიდი ჭირია“.
მჭედლები ცოდვას ნანობდენ,
ამტროვდენ გრდემლებს, კვერებსო,
თვის იარაღის ნაშთებზედ
აფრქვევდენ მწარე ცრემლებსო.

---

*) ვაჟას ახლახან აღმოჩენილი ეს ლექსი 1886 წელს „თეატრის“ დეკემბრის ნომერში უნდა დაბეჭდილიყო. რედაქციას აუწყვია ლექსი და დაბეჭდვის ნებართვის გამოსათხოვად წარუდგენია საცენზურო კომიტეტისათვის. საცენზურო კომიტეტმა ვაჟას ამ ლექსში ამირანის სახით საქართველო წარმოიდგინა, იმპერიალისტური რუსეთის კლანჭებქვეშ მოქცეული. და რაკი ავტორის სიმპატია ამირანისაკენ იყო, ლექსი, როგორც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული, აკრძალა.
ამრიგად, ლექსი მხოლოდ 50 წლის შემდეგ პირველად ახლა იბეჭდება.
რედ.

რაიონებში

შარშან და წელს

წალენჯიხის რაიონის სოფ. ჭალის ამხ. ბერიას სახ. კოლმეურნეობამ 30,5 ჰექტარზე გაშენებულ ჩაის პლანტაციას სანიმუშოდ მოუარა. ამის შედეგად მან ჩაის კრეფის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

კოლმეურნეობაში მოწესრიგებულია შრომა, განმტკიცებულია დისციპლინა. შრომადღეების ჩაწერა კოლმეურნეთა შრომის წიგნაკებში ყოველ ხუთდღეში ერთხელ ხდება.

შარშან კოლმეურნეებმა შრომადღეზე მიიღეს 2 კილოგრამი სიმინდი და 40 კაპეიკი ფულად. წელს შრომადღეზე მოუწევს 7—8 მანეთი ფულად, ხოლო სიმინდი სამჯერ მეტი რაოდენობით, ვიდრე შარშან.

ვ. აქუბარდია.

კოლმეურნეები შეძლებულები ხდებიან

ბორჯომი. სოფ. ჭობისხევის კოლმეურნეობამ წელს ხორბლისა და სიმინდის მოსავალი შარშანდელთან შედარებით მეტი მიიღო.

გასულ წელს კოლმეურნეებს თვითეულ შრომადღეზე 8 კილოგრამი მარცვლეული შეხვდა, წელს კი, წინასწარი გამოანგარიშებით, შრომადღეზე მიიღებენ 12 კილოგრამზე მეტს.

ყველა კოლმეურნეს ჰყავს საფურედ გამოზრდილი ხბო. კ. ლომსაძემ, კ. სარალიძემ, ი. მეხრიშვილმა და ვ. ლომსაძემ ახალი სახლები აიშენეს.

კოლმეურნეობის პირუტყვი უზრუნველყოფილია საკვებით. მათ აქვთ 20 ტონა სილოსი, 5000 ფუთი თივა და 15.000 ფ. ბზე.

გრ. ლომიძე.

ჩვენ გვწერენ

ნდობით აღჭურვილი ავანტიურისტი

ვალოდია მი-ა საბჭოთა მოსამსახურედ ითვლებოდა და ხელისუფლება ენდობოდა მას. არც ისე მცირე თანამდებობა ეკავა: მონადირეთა რაიკავშირს ხელმძღვანელობდა სენაკში. მას უსაქმობას არავინ უსაყვედურებდა, რადგანაც ის ენერგიულად „მუშაობდა“. აი რაში გამოიხატა ეს მუშაობა:

1924 წლის ზაფხულში, როცა მენშევიკები ავანტიურას აწყობდნენ, მიქავა დაფაცურდა. მის ხელში ხომ თოფ - იარაღები და ტყვია-წამლები იყო! მკითხველი იფიქრებს, მიქავამ გამოიყენა თავისი მდგომარეობა ალბათ მენშევიკ - ავანტიურისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ არა, ასე როდი მოხდა: მიქავამ სანადირო თოფები საბჭოებს დაუმიზნა, ავანტიურაში მიიღო მეტად აქტიური მონაწილეობა. მას მისჯილი ჰქონდა დახვრეტა, და თუ გადარჩა ამ დამსახურებული სასჯელისაგან, სრულებით შემთხვევით, ისიც მისივე აფერისტული მოხერხებით.

შემდეგ კი?

„კეთილმა ძიებმა“ აპატიეს მიქავას „შეცდომა“ და ეს ავანტიურისტი დღესაც იმავე დაწესებულებაში, მონადირეთა კავშირში „მუშაობს“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ! რით უნდა აიხსნას ეს უცნაური ფაქტი?

ჩვენ ვფიქრობთ, ცხაკაიას ხელმძღვანელი ორგანოები არ დააყოვნებენ შესაფერ დასკვნის გაკეთებას.

ა—ნი.

ღვინომ აქტი გააუქმა

მიმდინარე წლის მარტში ცხვრის ფარამ წაიხდინა კომბოსტოს ნათესი. ზარალი 150 მანეთად შეაფასეს. შეფასების აქტი **ლანირის** (სამტრედიის რაიონი) სოფლის საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს **გრიშა გვალიას** წარუდგინე. გვალიამ დაიბარა მწყემსი, რომელსაც უარი არ უთქვამს ზარალის ანაზღაურებაზე. მაგრამ ფინმუშაკი ნოე ყულატეიშვილი და გრიშა გვალია მოელაპარაკნენ მწყემსს, მოჰკიდეს ხელი, წაიყვანეს სასადილოში და ღვინო მოითხოვეს. მეორე დღეს მწყემსმა უარი მითხრა ფულის მოცემაზე. მივაკითხე ისევ გვალიას, მაგრამ ლანძღვით გამომაგდო გარეთ.

— რას ჩამცივებიხარ, გადი გარეთ, აქ აღარ გნახოო.

მივმართე საჩივრით სამტრედიის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ჯიჯიას. მან გამოიძია ეს საქმე. ჩემი სიმართლე დადასტურდა და ისიც გამოირკვა, რომ, ნაცვლად ჩემი დაკმაყოფილებისა, გვალიამ და ყულატეიშვილმა მწყემსს ღვინო აყიდვინეს. საქმე სასამართლოს გადაეცა. მოსამართლემ დამავალა ცხრა მთას გადაღმა წასული მწყემსის მონახვა და მოყვანა. როგორ შეიძლება ეს? ნუთუ არ შეიძლება მოძებნონ მწყემსი?

კოლმეურნე **დიმიტრი სანოძე.**

ფოტო-აპარატით ტფილისში

1 ტფილისის საგზოს ტექნიკურმა ნაწილმა დაიწყო ქალაქის რაიონების დაგეგმვა. ეს არის ახალი ტფილისის მშენებლობისათვის მომზადება.

სურათზე: ტექნიკოსი ამხ. ხუციანი და ლებედკინი აწარმოებენ დაგეგმვას ტრამვაის ქუჩაზე.

□

2 საქ. ჯანსახკომის ცენტრალურ საწყობიდან ყოველდღე იგზავნება ორდენოსან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საბავშვო ბაგეებისა და ბაღებისათვის ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, საცვლები, პატარა აფთიაქები, მედიკამენტები, პლაკატები და სხვ.

სურათზე: საწყობში პლაკატებს და ფეხსაცმელს ყუთებში აწყობენ გასაგზავნად.

□



3 დამთავრდა კოლონადების და პატარა სკვერის მშენებლობა კომინტერნის ქუჩაზე. აქამდე უშნო ადგილი გაიშალა ერთ ლამაზ კუთხედ, სადაც ლამაზად სჩქეფს შადრევანი და მარადმწვანე მცენარეები მოხდენილად ჩამწკრივებულა ათასგვარ ყვავილებში. აქვე მოწყობილია ა.-კ. მოწინავე კოლმეურნეთა საპატიო დაფა.

სურათზე: სკვერი და კოლონადები კომინტერნის ქუჩაზე.

□

4 ამხ. სტროხიჟანოვი და მამისაშვილი ყოფილი უპატრონოები არიან, ახლა ბერიას სახელობის ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში სტროხიჟანოვი ზეინკალია, მამისაშვილი კი დურგალი. ორივე მონაწილეობს ქარხნის ორკესტრში.

სურათზე: ამხ. მამისაშვილი და სტროხიჟანოვი უკრავენ მაესტრო სოლოვიოვის ხელმძღვანელობით.

□

5 საქ. საბჭოთა მხატვრების გამოფენა, რომელიც საქ. სამხატვრო გალერეიაში არის მოწყობილი, ნახა 30.000 კაცმა.

სურათზე: ათვალიერებენ გამოფენას.

□



6 დამთავრდა ტფილისის სანაპირო ქუჩის მშენებლობა. ამჟამად მიმდინარეობს გამწვანება მთელი ქუჩის ვერის ხიდიდან კ. მარქსის ხიდამდე ასფალტით არის დაგებული. ქუჩის გაყოლებაზე ლამაზი ქვის ჯებირია.

სურათზე: ქვის ჯებირი და ასფალტირებული ქუჩა.

□



7 ორთქლმავლის სარემონტო ქარხნის ამწყობ საამქროს ზეინკალი დაწინაურებული ინსპექტორი ამხ. ეველბაუმმა, დამკვრელური მუშაობისათვის ჯილდოდ მიიღო და თავის შვილს იურიკს პედალის ავტომობილი უყიდა.

სურათზე: ეველბაუმი და მისი ბავშვი.

რადიომომსახურება გაუმჯობესდება

ამხ. კერჟენცევი რესპუბლიკური რადიოკომიტეტების მუშაობის შესახებ.

საკავშირო რადიკომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კერჟენცევი, რომელიც ამ დღეებში ამიერ-კავკასიას ესტუმრა, 8 ოქტომბერს მოსკოვს გაემგზავრა. გამგზავრების წინ ამხ. კერჟენცევმა ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს საუბრის დროს გაუზიარა ამიერ-კავკასიაში რადიოგადაცემის და რადიოფიკაციის მუშაობის შემოწმების ზოგიერთი შედეგი და ამ მუშაობის პერსპექტივები.

ამხ. კერჟენცევის აზრით, საქართველოს და აზერბეიჯანის რადიოკომიტეტებმა უკანასკნელ დროს მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს კადრების მომზადების, ადგილობრივ რადიოკვანძთან კავშირის გაძლიერებისა და სხვა მუშაობაში. იგივე არ შეიძლება ითქვას სომხეთის რადიოკომიტეტის შესახებ, რომელიც მეტისმეტად არასაკმაოდ არის დაკავშირებული თავის პერიფერიებთან. სომხეთის რადიოკომიტეტის ხელმძღვანელობა უნდა გაძლიერდეს.

რესპ. რადიკომიტეტების მუშაობას აფერხებს რადიოსტუდიების ტექნიკური მოუწყობლობა და შენობების სიმცირე თვით კომიტეტებისათვის. ეს ნაკლოვანებები უახლოეს დროში იქნება დაძლეული ტფილისსა და ერევანში მთავრდება ახალი შენობების აგება და მოწყობა. ბაქოში რადიოკომიტეტს გადაეცემა უფრო შესაფერი შენობა. მომავალი წლის დასაწყისში ბაქოში ამუშავდება ახალი, მძლავრი 35 კილოვატიანი რადიოსადგური.

უახლოეს თვეებში საკავშირო რადიოკომიტეტის დახმარებით გაძლიერებული იქნება შემსრულებელთა კადრები ტფილისსა და ბაქოში. გათვალისწინებულია სიმფონიური ორკესტრების გაძლიერება, ახალი მოსიმღერე გუნდების შექმნა და სხვ. მოგვარდება მოსკოვის რადიგადაცემის რეგულარული ტრანსლაცია ა.-კ. რადიოსადგურების მიერ.

□

ახალი საჰაერო ხაზები

სამოქალაქო ავიაციის ა.-კ. სამმართველომ დაამუშავა ახალი საჰაერო ხაზების მშენებლობის გეგმა 1936 წლისათვის.

მომავალ წელს საქართველოში განზრახულია სამი ახალი საჰაერო ხაზის მოწყობა და გახსნა. პირველი საჰაერო ხაზის დაწესება გათვალისწინებულია ტფილისიდან ალბულაღამდე, შემდეგ—ბარმაქსიზამდე (ყოფ. წალკა) და აქედან ახალქალაქამდე. ტრასა, ანუ ხაზის მიმართულება, ახალქალაქისაკენ უკვე გამორკვეულია და დაწყებულია აეროდრომების მოწყობა ბარმაქსიზსა და ახალქალაქში. ალბულაღში კი აეროდრომი უკვე მზად არის.

მეორე საჰაერო ხაზი უნდა დაწესდეს ტფილისიდან სტალინირამდე (ტფილისი—გორი—სტალინირი). წინასწარი გამოკვლევები ჩატარებულია ამ მიმართულებითაც.

მესამე ხაზის გასახსნელად დაწყებულია საქმის წინასწარი შესწავლა. ეს ხაზი გათვალისწინებულია ტფილისიდან ბათომამდე. ეკონომიური ეფექტიანობის თვალსაზრისით ტფილის-ბათომის ხაზის გახსნა მიჩნეულია მიზანშეწონილად, მაგრამ ხაზის გახსნის საბოლოოდ გადაწყვეტას აბრკოლებს ბათომის ტოპოგრაფიულ და კლიმატიურ თავისებურებათა არასაკმაოდ შესწავლა.

□

ემზადებიან საკოლმეურნეო ბაზრობისათვის

სოხუმი, 9 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს სოხუმში გაიხსნება „სარაიონთაშორისო" საკოლმეურნეო ბაზრობა. საბაზრო ვაჭრობა უმთავრესად იწარმოებს საკოლმეურნეო ბაზრის მოედანზე. ამჟამად გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს საკოლმეურნეო ბაზრის რეკონსტრუქცია. შენდება ახალი მხატვრულად გაფორმებული მაღაზიები და ფარდულები.

საკოლმეურნეო ბაზრობა უზრუნველყოფილი იქნება 1 მილიონ მანეთზე მეტი სამრეწველო საქონლით.

□

მთასვლელების რეკორდი

ალპინიზმის ისტორიას არ ახსოვს, რომ მყინვარის მწვერვალზე ვინმე ასულიყო და დაბრუნებულიყო იქიდან 16 საათის განმავლობაში. ჩვეულებრივად მყინვარზე ასვლას და დაბრუნებას ანდომებენ 24 საათს მაინც. ყაზბეგის ტურისტული ბაზის ახალგაზრდა თანამშრომელმა ამხ. **გრიშა მადურმა** დაამყარა რეკორდი ჩქარი სიარულისა უძნელეს პირობებში.

ცნობილი მთასვლელის **იაგორა კაზალიკაშვილის** დაკრძალვის წინა დღეს, მისი ხსოვნის აღსანიშნავად, ამხ. გ. მადურმა იკისრა ვალდებულება ღამით წასულიყო მყინვარწვერზე და დაბრუნებულიყო ისე, რომ ასვლა-ჩამოსვლისთვის მოენდომებინა 15—16 საათი. უნდა ითქვას, რომ ღამით მყინვარზე ასვლა და ისიც მარტოკა, დღემდე ვერავის გაუბედნია, ვინაიდან ეს თავგანწირვას უდრის.

15 სექტემბერს, საღამოს 9 ს. და 30 წ. ამხ. მადური გავიდა ყაზბეგიდან. მისი გასვლის დრო აღნიშნა ყაზბეგის ტურისტულმა ბაზამ სპეციალური აქტით, რომლის ასლი წაიღო თვით გ. მადურმა. მეორე დღეს, 16 სექტემბერს, დღის 1 საათსა და 30 წუთზე იგი დაბრუნდა ყაზბეგის მწვერვალიდან ე. ი. ასვლა-ჩამოსვლას მოანდომა 16 საათი, რაც აგრეთვე აღინიშნა სპეციალური აქტით.

იმის დასამტკიცებლად, რომ **მადური** ნამდვილად ავიდა მწვერვალზე, მან იქიდან (მწვერვალიდან) ჩამოიტანა შემდეგი ნივთები, რომლებიც დასტოვეს მწვერვალზე ფრუნზეს სახელობის დივიზიის წითელარმიელებმა: ქვემეხის 3 გილზა და ბარათი, დატოვებული მათ მიერ მყინვარზე დადგმულ ამხ. სტალინის ბიუსტთან. გარდა ამისა, თვით **გ. მადურმა** მწვერვალზე დატოვა ტურისტული ბაზიდან წაღებული აქტი, რომელიც 17 სექტემბერს იპოვეს და ჩამოიტანეს მწვერვალიდან აზოვ-შავიზღვის კომბაინერთა ჯგუფის წევრებმა, რომლებიც მყინვარზე ავიდნენ.

ამით სოფ. ყაზბეგის მცხოვრებმა **გრ. მადურმა,** 22 წლის კომკავშირელმა, გამოიჩინა უაღრესი გამბედაობა და მთაში უძნელეს პირობებში სწრაფად სვლის არა მარტო საკავშირო, არამედ მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ა.—ი.

□

7 ვაგონი შაქარი დღე-ღამეში

ხაშური, 8 ოქტომბერი. აგარის შაქრის ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. 7 ოქტომბერს ქარხანამ ჭარხლის გადამუშავების სადღეღამისო გეგმა 100 პროც. შეასრულა. ქარხანამ გადაამუშავა 7 ათასი ცენტნერი ჭარხალი, და გამოუშვა 7 ვაგონი შაქარი დღეღამეში. ქარხანა უკვე მუშაობს მთელი საწარმოო სიმძლავრით. ამასთანავე მნიშვნელოვნად შემცირდა შაქრის დანაკარგი წარმოების პროცესში.

დღეს იწყება ა.-კ. მძლეოსანთა შეჯიბრება

ა.-კ. მძლეოსანთა შეჯიბრების მონაწილენი: **სურათზე:** სემიონოვი, სერაფიმ და გიორგი ზნამენსკი ვარჯიშობის წინ და ახალგაზრდა მძლეოსანი სიომა კილაძე

დღეს დინამოს ახლად აშენებულ სასპორტო გიგანტ სტადიონზე დაიწყება ამიერ-კავკასიის მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს საუკეთესო მძლეოსნები. შეჯიბრების პროგრამაში შეტანილია მძლეოსნობის ყველა სახე: სირბილი სასპრინტო, საშუალო და გრძელ დისტანციებზე. ხტომა სიგრძე-სიმაღლეზე ადგილიდან და გამორბენით; ბირთვის კვრა; ბადროს, შუბის ჩაქუჩისა და ყუმბარის ტყორცნა, ამანათრბენი და სხვ.

ფიზკულტურის რესპუბლიკურმა უმაღლესმა საბჭოებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მძლეოსნების შეჯიბრებისათვის მომზადებას, რის გამო სპორტსმენების ტექნიკაც ძალზე გაიზარდა.

ქალთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა შეჯიბრება სირბილში სასპრინტო დისტანციებზე, სიგრძე-სიმაღლეზე ხტომასა და ამანათრბენაში. მძლეოსნობის ხსენებულმა სახეებმა თავი მოუყარეს უძლიერეს მძლეოსან ქალებს. პირველობის დაუფლების თანაბარი შესაძლებლობა აქვთ **ზალდასტანიშვილს, ლინა გოკიელს, ტრიგუბოვას, ტიმოფეევას, აქსიუქს.**

გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში აზერბეიჯანის მძლეოსანმა განიკერმა მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირში საუკეთესო შედეგს მიაღწია. გადახტა 147 სანტიმეტრზე, რაც ძალიან უახლოვდება არსებულ საკავშირო რეკორდს. საინტერესოდ გათამაშდება ამანათრბენი 4×100. საქართველოს გუნდის შემადგენლობაში შედიან: **ლინა გოკიელი, ზალდასტანიშვილი, ტიმოფეევა** და **ტრიგუბოვა.** ამათ დაუპირისპირდებიან აზერბეიჯანისა და სომხეთის საუკეთესო მორბენალი ქალები.

ძალზე მწვავე ხასიათს მიიღებს პირველობის გათამაშება ვაჟთა შორის. სასპრინტო სირბილში და სიგრძე-სიმაღლეზე ხტომის შეჯიბრებაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო მძლეოსნები: **შტემპელი, სემიონოვი, ბაგროვი, ბარანოვი, კრილოვი, რუსანოვი:** ყოველი მათგანი პირველობის კანდიდატია, რომელია მათში უკეთესი, ამას შეჯიბრება დაამტკიცებს.

ქალთა შორის ბირთვის კვრაში შეჯიბრების ფინალი, ალბათ, მაიერსა და ფომინას შორის გათამაშდება. ვაჟთა შორის მძლეოსნობის ამ დარგში მონაწილეობენ სიმძიმეების აწევის მსოფლიო ფალავანი **სერგო ამბარცუმიანი, შოთა კილაძე** და სხვ.

გარდა ა.-კ. საუკეთესო ოსტატებისა გაიმართება აგრეთვე ა.-კ. მძლეოსან ბავშვთა შეჯიბრებაც; მონაწილეობას მიიღებენ აზერბეიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ბავშვთა ნაკრები კოლექტივები. უკანასკნელთა შეჯიბრება მთელი რიგი საინტერესო მომენტებით დახასიათდება. ფართო მასშტაბით შედგენილი პროგრამა საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ ბავშვთა ძალებიც. მათი შედეგები ზოგ შემთხვევაში არ ჩამორჩება გამოცდილი მძლეოსნების მიღწეულ შედეგებსაც კი. განსაკუთრებით საყურადღებოა ლ. ბერძენიშვილის, ბაქრაძის, ს. კილაძისა და ამირან ქარცივაძის მონაწილეობა, რომელნიც დიდ იმედებს იძლევიან რეკორდების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია მთელი რიგი საკავშირო რეკორდსმენები. გუშინ ტფილისში ჩამოვიდნენ განთქმული მორბენლები გრძელ მანძილზე ძმები—**სერაფიმ** და **გიორგი ზნამენსკები;** საკავშირო ფალავანი 100 და 200 მეტრზე რბენაში **რობერტ ლიულკო,** საკავშირო ფალავანი ბირთვის კვრაში—**ლიაჩოვი,** საკავშირო ფალავანი ჭოკით ხტომაში—**ოზოლინი;** სპორტის ოსტატები: მიტროპოლსკი, სერგეევი, მალიაევი, ხუდიაკოვი და სხვანი.

□ □ □ □ □ □

მოუთმენლად ველით შეჯიბრების დაწყებას

ს. ზნამენსკი

ა.-კ. შეჯიბრების წინ მომიხდა რამდენიმე გამოსვლა მოსკოვში, კიევსა და როსტოვში, სადაც ჩავატარე შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონ ჟიულ ლადუმეგთან. მიუხედავად ცუდი ამინდისა, შევძელი ორი ახალი საკავშირო რეკორდის დამყარება, თუმცა ლადუმეგთან შეხვედრაში დავმარცხდი. პირველად მიხდება ა.-კ. შეჯიბრებაში მონაწილეობა და ძალზე მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს გავეცნო ა.-კ. მძლეოსნებს. სურვილი მაქვს მივიღო მონაწილეობა 3.000 მეტრზე სირბილში. თუ ამინდმა და სტადიონის ბილიკის ხარისხმა ხელი არ შემიშალა, ვფიქრობ საკავშირო რეკორდის გადალახვას. პირველი დღის გამოსვლა გადასწყვეტს ჩემს შემდგომ მონაწილეობას. მსურს მონაწილეობა მივიღო 1.500 და 5000 მეტრზე სირბილშიც.

□

გ. ზნამენსკი

ჩემს ძმასთან ერთად რამდენიმე შეჯიბრებაში მონაწილეობა მივიღე ჟიულ ლადუმეგის წინააღმდეგ. ტფილისში მონაწილეობას მივიღებ 3.000 და 5,000 მეტრზე სირბილში. თუ ამინდმა ხელი არ შემიშალა, შევეცდები საკავშირო რეკორდების გადალახვას. მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას მივიღებ ა.-კ. სპორტსმენთა შორის შეჯიბრებაში.

□

ნ. ოზოლინი

(კავშირის ჩემპიონი ჭოკით ხტომაში)

1928 წელს მონაწილეობა მივიღე ტფილისის მძლეოსანთა შორის შეჯიბრებაში; მაშინ შევეცადე გადამელახა დიაჩკოვის საკავშირო რეკორდი (3 მეტრი 88 სანტ.), მაგრამ ვერ შევძელი.

ამასწინათ, ერევანში ჩატარებულ შეჯიბრებაში გადავხტი ჭოკით 4 მეტრსა და 15 სანტიმეტრზე, რითაც დავამყარე ახალი საკავშირო რეკორდი. შევეცდები ამ რეკორდის გადალახვას ტფილისში.

დაინტერესებული ვარ ჭოკით მოხტუნავე ბაქოელი სემენიშინის მიღწევებით, რომლის შედეგების ხარისხი ძლიერ თვალსაჩინოა.

რ. ლიულკო

(კავშირის ჩემპიონი 100-200 მეტრზე რბენაში)

ერევანში გამართულ შეჯიბრებაში გადავლახე კორნიენკოს მიერ 1928 წელს დამყარებული რეკორდი—200 მეტრზე სირბილში მივაღწიე შედეგს 21.8. ტფილისში შევეცდები გადავლახო საკავშირო რეკორდი 300 მეტრზე რბენაში. თუ ამინდმა ხელი შემიწყო, მონაწილეობას მივიღებ 200 მეტრზე შეჯიბრებაშიც. ძლიერ მაინტერესებს შტემპელის, იოხელიანისა და დიაჩკოვის შედეგები.

□

საქართველოს საუკეთესო მტყორცნელი შოთა კილაძე ბირთვის კვრის მომენტში

ს. ლიაჩოვი

(კავშირის ჩემპიონი ბირთვისა და ბადროს ტყორცნაში)

პირველად ვარ ტფილისში და ვგრძნობ, რომ აქაური პირობები სრულ საშუალებას მომცემს შეჯიბრებაში კარგ შედეგებს მივაღწიო. ერევანში ბადრო გადავტყორცნე 47 მეტრსა და 84 სანტიმეტრზე, რითაც გადავლახე ჩემივე საკავშირო რეკორდი. მგზავრობამ ძალზე დამღალა, რის გამოც საკავშირო რეკორდების დამყარებას, ალბად, ვერ შევძლებ.

□ □ □

ქრონიკა

— **მოხსენება რადიოთი.** დღეს 17 ს. და 10 წუთიდან რადიოთი გადაცემული იქნება რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ა. ჯამიშვილის მოხსენება თემაზე: **„რევოლუციური კანონიერების სადარაჯოზე".**

— **13 ოქტომბერს,** საღამოს 8 ს. მწერალთა სასახლეში მოწვეულია საქარ. თავდაცვითი ლიტერატურული სექციის ბიუროს სხდომა.

— **ხელოვანთა სასახლეში** 13 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. შესდგება ჟურნალ „ჩვენი თაობასთან" არსებულ შემოქმედებითი წრის მორიგი მეცადინეობა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ, მოხსენებას გააკეთებს ამხ. ბ. ჟღენტი.

□

შემთხვევები

დაჭრა. ქ. დ. იაშვილმა ჩხუბის დროს სანდლით დასჭრა ლ. ბაღდასაროვი (თაუზის შეს. 1). იაშვილი შეიპყრეს.

ხანძარი. 10 ოქტომბერს, ღამით, ენგელსის ქუჩაზე სახლი № 56-ში, რომელზეც მესამე სართულს აშენებენ, გაჩნდა ხანძარი. ხანძარმა გაანადგურა № 56 სახლის მესამე სართულის მთელი ხის ნაწილი და ნაწილობრივ № 54 სახლისა. ხანძრის გაჩენის მიზეზი ცეცხლთან გაუფრთხილებლობაა. ხანძრისაგან მიყენებული ზარალი ირკვევა.

სამკერვალო არტელი „მშრომელთა კავშირის" შენობაში (პლეხანოვის პროსპ. 31) გაჩნდა ხანძარი, რამაც არტელს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

გაიხსნა საოპერო სეზონი

პირველი წარმოდგენა

10 ოქტომბერს ქართულ საოპერო შემოქმედების საუკეთესო ნიმუშით,—კომპოზიტორ ზაქ. ფალიაშვილის **„დაისით"** გაიხსნა ტფილისის საოპერო თეატრის სეზონი.

სპექტაკლს წინ უძღოდა მთელი დასის და ორმაგი ორკესტრის მიერ პროლეტარული ჰიმნის „ინტერნაციონალის" შესრულება, რამაც თავიდანვე საზეიმო ხასიათი მისცა მთელ საღამოს.

ზ. ფალიაშვილს, როგორც კომპოზიტორს ისეთი ბედნიერება ხვდა წილად, რომელიც სხვა კომპოზიტორს იშვიათად შეხვდება ხოლმე. მის ნაწარმოებებს აღმოუჩნდა ისეთი ინტერპრეტატორი, როგორიც იყო განსვენებული დირიჟორი, სახ. არტისტი ივ. ფალიაშვილი. გადაჭრით უნდა იქნას აღიარებული, რომ ივ. ფალიაშვილის ხელოვნებამ და სიყვარულმა ამ საქმისადმი დააჩქარა ზ. ფალიაშვილის ოპერების პოპულარიზაცია.

ოპერის გმირთა ინტიმური განცდების დიაპაზონი მოითხოვს ორკესტრის შესატყვის ბგერადობას. ფალიაშვილის მთელი შემოქმედება ხალხური სიმღერის ძირითად თვისებებზეა აგებული და ორკესტრის მღერადობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. **ე. მიქელაძემ** ეს შეიგნო. და ეს არის როგორც მისი, ისე სპექტაკლის მონაწილეთა გამარჯვება.

მუსიკა წამყვანია საოპერო თეატრში, და თუ იგი შემცდარ გზებს ირჩევს, დანარჩენი ელემენტები ვერ გადაარჩენენ სპექტაკლს. **ალ. წუწუნავას** ღრმა მოფიქრებული, სპექტაკლის შინაგანი ძირითადი ტონუსის გამომჟღავნების პრინციპზე აგებული დადგმა, **ს. ვირსალაძის** მარტივი და იმავე დროს თავისი უაღრესი დამაჯერებლობით სიხარულის მომგვრელი მხატვრული გაფორმება, განუხორციელებელ დაპირებად რჩებოდა, ვინაიდან მუსიკა მათ სინტეთურად არ აცემენტებდა.

ე. მიქელაძემ შესაფერი ჩარჩოები მისცა სპექტაკლს და ამით ამ მაღალხარისხოვან დადგმის მხატვრული სახეები გააცოცხლა. „დაისით" მიქელაძემ დაამტკიცა, რომ ოპერაში იგი ისევე ძლიერია, როგორც სიმფონიურ კონცერტში.

მიუხედავად იმისა, რომ ალაგ-ალაგ ქონდა კიდეც ადგილი ზოგიერთ ლაფსუსებს (გუნდის ჩამორჩენა პირველი სიმღერის დროს, ნელი ტემპით და ჩუმი ბგერადობა კიაზოს არია „დამისხი დამალევინე" დროს, არაქართული ინტონაციები და მანერები სოლისტების და გუნდის სიმღერაში), ასეთი ხალისით ნათამაშევი სპექტაკლი დიდიხანია არ უნახავს ჩვენს თეატრს. ამას ხელი შეუწყო როგორც **ნ. ქუმსიაშვილის** და **პ. ამირანაშვილის** იშვიათი ოსტატობით ჩამოყალიბებულმა ვოკალურმა და სცენიურმა სახემ, ისე განსაკუთრებით მაროს როლის ახალმა შემსრულებელმა, **ეკატერინე სოხაძემ.**

მაროს პარტიის წინანდელ შემსრულებლებს ყურადღების ცენტრი პარტიის ვირტუოზულ-ტექნიკურ მხარეზე გადაქონდათ და ამიტომ სცენური სახე ცივი და უფერული რჩებოდა. სოხაძემ მთელი ყურადღება მხატვრული სახის გახსნას მოანდომა და მოგვცა მგრძნობიარე, კეთილშობილი ქალის ამაღელვებელი სახე. უდიდესი დამაჯერებლობით გაშალა მან მსმენელთა წინაშე კონფლიქტი მოვალეობას და სიყვარულს შორის და სცენიურად ბრწყინვალედ დაასაბუთა ამ კონფლიქტის ტრაგიკული დაბოლოების აუცილებლობა. მართალია, ვოკალური მხარის მხრივ იყო ზოგიერთი ხარვეზი, მაგრამ ეს აიხსნება იმ უჩვეულო სისწრაფით, რომლითაც მსახიობს ამ პარტიის მომზადება მოუხდა.

პირველი სპექტაკლიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ოპერის მთელი კოლექტივი მტკიცედ დგება სინთეტურ საოპერო თეატრის შექმნის გზაზე. რეჟისორის, დირიჟორის და მხატვრის შეთანხმებულ მუშაობას მხატვრულ სახეების გახსნაზე, სოციალისტურ რეალიზმის მეთოდის საფუძველზე, უკვე შედეგათ მოყვა იმ მომაკვდინებელ ხალტურის მოსპობა, რომელიც ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლს „დაისს" გარს ჰქონდა შემოკრული.

გ. ტოროშელიძე.

□

ბებუთოვის დადგმები ტფილისის ოპერაში

ტფილისის საოპერო თეატრის დირექციის მოწვევით მოსკოვიდან ჩამოვიდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ვ. მ. ბებუთოვი,** რომელიც ტფილისის ოპერის სცენაზე გამართავს რამდენიმე წარმოდგენას.

რესპ. დამს. არტისტი ვ. მ. ბებუთოვი საბჭოთა კავშირში ცნობილია თეატრალურ ასპარეზზე ენერგიული მუშაობით. საბჭოთა კავშირის თეატრებში მას ბევრი საუკეთესო დადგმა ეკუთვნის. მისი დადგმებიდან როგორც მუსიკალურ, ისე დრამატიულ სპექტაკლებში აღსანიშნავია ცნობილი ავტორები: შექსპირი, მოლიერი, შილერი, ვაგნერი. გოგოლი, მოცარტი და სხვ.

1909—11 წლამდე იგი სწავლობდა მეიერხოლდთან, 1912—17 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა დადგმაზე მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრში, 1917—19 წლამდე ახალ თეატრში.

ვ. მ. ბებუთოვი თეატრალურ ოქტომბრისთვის ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლია. იგი მეიერხოლდთან ერთად ხელმძღვანელობდა რუსულ თეატრს, და მასთან ერთად დადგა მაიაკოვსკის **„მისტერია ბუფ!".** მისი დამოუკიდებელი დადგმაა შილერის **„ვილჰელმ ტელი",** რევოლუციის თეატრში — ფოლკენშტეინის **„სპარტაკი",** კამენსკის **„სტენკა რაზინი"** და სხვ.

ამგვარად, რესპ. დამს. არტისტ ვ. მ. ბებუთოვს დიდი ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა თეატრის განვითარებაში. ამ წელს ესტუმრა ტფილისის საოპერო თეატრს, სადაც ნოემბერში დადგამს მუსიკალურ კომედიას „გეიშას" და სეზონის მეორე ნახევარში — **„ლოენ-გრინს".**

□

გრიშკო ტფილისის ოპერის სცენაზე

ტფილისის სახ. ოპერის დირექციამ რამდენიმე სპექტაკლში მონაწილეობისათვის მოიწვია ხარკოვის საოპერო თეატრის პრემიერი—ბარიტონი **მ. ს. გრიშკო,** რომელიც უკვე ჩამოვიდა ტფილისში და დღეიდან იწყებს გამოსვლას ტფილისის ოპერის სცენაზე.

მსახიობი გრიშკო

გრიშკოს ტფილისის საზოგადოება იცნობს. მან შარშან წარმატებით ჩაატარა ფრიად რთული პარტიები ოპერებში: **„ევგენი ონეგინი", „რიგოლეტო", „ტრავიატა", „აბესალომ და ეთერი"** და სხ.

მსახიობ გრიშკოს მონაწილეობით წელს პირველად წარმოდგენილი იქნება ოპერა **„ევგენი ონეგინი",** ხოლო ოქტომბრის ბოლო რიცხვებამდე იგი გამოვა ოპერებში: **„რიგოლეტო", „ტრავიატა", „აიდა"** და სხვ.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 1935—36 წლ. სეზონი

დღეს 3 აბონ. 1 წარმ.	13 ოქტომბერს 4 აბონ. წარმ.	14 ოქტომბერს 5 აბონ. 1 წარმ.
ევგენი ონეგინი	აიდა	რიგოლეტო

წარმოდგენის დასაწყისი საღ. სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება. ვისაც აბონემენტის მეორე მორიგი გადასახდელი არ შეუტანია, მას სპექტაკლზე არ შეუშვებენ. გადასახდელთა მიღება და აბონემენტების ინდივიდუალური გაყიდვა ყოველდღე, დილით 11-დან 2 საათამდე, საღ. 6-დან 9 საათამდე.

რუსთაველის თეატრი
1935—36 წლ. სეზონი.

რეპერტუარი

ახალი დადგმები:

ს. შანშიაშვილი
არსენა

ს. კლდიაშვილი
შემოდგომის აზნაურები

ა. კორნეიჩუკი
პლატონ კრეჩეტი
თარგმანი ალ. ბუკვერიასი

განახლებული

ფ. შილერი
ინ-ტირანოს

ს. შანშიაშვილი
ანზორ

გ. ბუხნიკაშვილი
ნაბიჭვარი

პ. სამსონიძე
სალტე

საორიენტაციო რეპერტუარი

ვ. შექსპირი
იულიოს კეისარი
თარგმ. ივ. მაჩაბლისა

ი. ქავჯავაძე
კაცია-ადამიანი?!
გადმოკ. ბ. ალსაბაძის მიერ

ვერნეილი და ბორერი
პარიზი
თარგმ. ი. ქანთარიასი

სეზონის გახსნა ოქტომბრის შუა რიცხვებში.
აბონენტების და ქუდქვეშ ადგილების გაცემის ვადა გაგრძელებულია 15 ოქტომბრამდე.

381 4-4 დირექცია.

ამ დღეებში ახალი მხატვრული ფილმი
საქ. რთ. სახკინმრეწვის ნაწარმოები

მდინარის იქით

სცენარი—ი. მოსაშვილისა ოპერატორი—ვ. აფხაიძე.
რეჟისორი—შ. ბერიშვილი. მხატვარი—მ. გოცირიძე.

მთავარ როლებში: რესპ. სახალხო არტისტი—ა. იმედაშვილი. მსახიობნი: გ. ჯაბაშვილი, ლ. ქელბაქიანი გ. ბრეგვაძე, ი. გვინჩიძე, კ. დაუშვილი, მ. ხუხიტაშვილი.
392

ოქტომბერი 6-30. 8-30. 10-30
დამკვრელი ახ. სახაფ. 6-30. 8. 9-30. 11
ტემპი საზათ. ... 8-30, 10-30
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30
... სახათ. 7-20. 9 10-30
„ქც"-ის კომ. სახ. 7, 8-30, 10
კომინტერნი სახაფ. ... 8-15. 10-15

ახალი ხმოვანი ფილმი
მცირე ხალხის აღსასრული
საზამთ.—წუემხი და მეფე
საზაფხ.—მხატვრ. ფილმი ალიმი
დადგმის მე 3 კვირა
იუბილეის ხმოვანი ფილმი პეტო (პეტერ)
ხმოვ. მხ. ტვრ. ფილმი
ჭექა-ქუხილი ოსტროვსკის მიხედვით.
მხატვრ. სურათი დიპშიკრიკის ჩანთა
ხმოვანი სურათი პეპო სომხური ვარიანტი
ხმოვანი ფილმი პეპო სომხური ვარიანტი

ტფილისის სახელმწიფო ავტოსარემონტო ქარხანა № 8 აცხადებს

საქართველოს სატრანსპორტოს მთავარი სამმართველოს 1935 წ. 15 სექტემბრის ბრძანების № 2/2-ის განსავითარებლად ყველა ავტომეურნეობა, აგრეთვე ორგანიზაციები საქართველოში, რომელთაც აქვთ ავტომანქანები სახ. ავ. სარ. ქარ.—აა და ამო—8/ზის—5, ვალდებული არიან 1935 წლის **1 ნოემბრამდე** წარმოადგინონ სახელმწ. ავტოსარემონტო ქარხანა № 8-ის კამსაღებელ ნაწილში მანქანათა კაპიტალურ რემონტში გადაცემის საკალენდარო გრაფიკები 1935 წლის ნოემბერ დეკემბრის თვისა და მთელი 1936 წლისთვის, აგრეთვე დასდონ სათანადო ხელშეკრულებანი.

თუ აღნიშნულ ვადაში კალენდარული გრაფიკები არ იქნა წარმოდგენილი და ხელშეკრულებები დადებული ავტომეურნეობანი ვეღარ მიიღებენ მანქანებს გეგმიანად კაპიტალური რემონტიდან და არ ექნებათ საშუალება მიიღონ საბრუნავი მანქანები თავისი მანქანების სარემონტოდ გადაცემის დროს.

ხელშეკრულებისა და შეკვეთების პირობათა პროექტს ქარხანა პირველი მოთხოვნისთანავე გზავნის.

მისამართი დეპეშებისთვის: ტფილისი, ღრმა ღელე სახელმწიფო ავტო სარემონტო ქარხანა № 8.

503 სახელმწიფო ავტოსარემონტო ქარხანა № 8-ის **დირექცია.**

უღრმეს მწუხარებაში მყოფი ლიუცია და დავით კომახიძეები იუწყებიან პირველის მამის და მეორის სიმამრის

ალფესი ორაგველიძის

უეცრივ გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 ოქტომბერს ქ. მახარაძეში. უფ.

უმაღლესი საფინანსო სკოლის პროფესორ-ლექტორთა შემადგენლობა მწუხარებით იუწყებიან ამავე სასწავლებლის ლექტორის

გიორგი ვარლამის-ძე მახარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 9805

თავზარდაცემული მეუღლე ფუდო, შვილი ანტონ, ბადიშები თემური და ტოგო იუწყებიან:

ალფესი ორაგველიძის

უეცრივ გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 ოქტომბერს ქ. მახარაძეში, გამოსვენება, კლდიაშვილის ქ. № 6. უფ.

ტფილისის კვანძის სანორგანიზაციო ექიმები: შავერდოვი, ზედგინიძე, ფაღავა, ტერისრაელიანი, ნაკაიძე, ტუღუში, ნოდია, ოსიპოვი და სადეზინფექციო რაზმის თანამშრომლები იუწყებიან

ანტონ ალექსის-ძე ჩოჩიევის

გარდაცვალებას. გამოსვენება 12 ოქტომბერს, 4 ს. ბათომის ქ. № 24. 9824

მშობლები: ვანო, ოლია, პაპა ზაქრო, ბაბო, თებრო, მამიდები: თამარა, ფატო ქმარშვილით აუწყებენ საზოგადოებას მათი საყვარელი

პატარა ნოდარი ყვავიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 12 ოქტომბერს, 4 ს. რკინიგზის საავადმყოფოდან. 9821

დამწუხრებული მშობლები: მიშა და ვერია; ბაბუა, ნადია შვილებით ტუღუშები; ფედოსი, რაედენი შვილებით კილაძეები იუწყებიან, რომ 12 ოქტომბერს, 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი საყვარელი

პატარა ციალას (ცუცუ)

ხსოვნის აღსანიშნავად. 9820

შვილი სვიმონი გოგიშვილი ცოლშვილით, ეკატერინე, ნინო, გოგა და სპარტაკი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

ალექსი ივანეს-ძე გოგიშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 ს. კამოს ქ. № 73 დასაფლავება 13 ოქტომბერს 5 საათზე. 9823

უმაღლესი საფინანსო სკოლის დირექცია, პედპერსონალი და სტუდენტთა ორგანიზაციები უღრმესი მწუხარებით იუწყებიან ამავე სასწავლებლის ლექტორის

გიორგი (ჟორჟიკა) ვარლამის-ძე მახარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 9806

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო ტურიზმის სექცია იუწყება, რომ 12 ოქტომბერს, 2 საათზე, ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი სექციის ყოფ. თავმჯდომარის

გიგო გიორგაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 9825

ტფილისის რკინიგზის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურენი მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე საავადმყოფოს ძველი მუშის-დეზინფექტორის

ამხ. **ანტონ ჩოჩიევის**

უდროოდ დაკარგვის გამო. გამოსვენება 12 ოქტომბერს 3 ს. რკინიგზის საავადმყოფოს პროზექტურა-დან. 9826

გულდათუთქული მშობლები: ლუბა და ალექსანდრე მენაღარიშვილები იუწყებიან, რომ 13 ოქტომბერს ლანჩხუთში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ერთად-ერთი შვილის

პატარა შურიკოს

ხსოვნის აღსანიშნავად. № 509

შვილები: სავლე, შალიკო, ნინა, თამარა, საშა სვანიძეები სიძეები: ი. რაზმაძე, ა. ხუბულავა, ა. შეფიაშვილი, რძალი ნინა და შვილიშვილები იუწყებიან დაუვიწყარ

ატატო სვანიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ყიფიანის ქ. № 21 12 ოქტომბერს 4 ს. 9828

გიორგი მაჭხონაშვილი, ცოლით ლილით და შვილით კარლოთი მწუხარებას გამოსთქვამს ამხ. სიკო გოგიშვილის მამის

ალექსი გოგიშვილის

გარდაცვალების გამო. უფ.

დამწუხრებული ძმები: აქსენტი, მიშა, რძალი ანიკა, ძმისშვილები: ბიძინა და გაიოზი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს დაუვიწყარი

ჯაჯე სამსონის-ძე სიჭინავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19 ოქტომბერს, ს. ლესიჭინეში. 9829

სამტრესტის ამხანაგთა ჯგუფი: მ. მზეიძე, ვ. თევზაძე, ო. პაპავა, ელ. ქარცივაძე, ო. მოდებაძე, მ. ჯაფარიძე, მ. ალხაზიშვილი, ა. ჩილინძე იუწყებიან

გიორგი (ჟორჟიკა) მახარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 1 საათზე სადგურის ქ. № 1. კუკიის სასაფლაოზე. 9830

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული 8102